პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ.) ცენტ. და ტფ. კომიტეტები და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ხუთშაბათი
1
ნოემბერი
1934 წ.
№ 253 (4109)

დღეს ნომერში

- — აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გარშემო მოლაპარაკების შესახებ.
- — მანჯურიაში ძლიერდება აჯანყებულთა მოძრაობა.
- — ესპანეთში კვლავ გრძელდება მუშათა მღელვარება.
- — მარსელში მომხდარ მკვლელობის ირგვლივ.
- — ბრიტანელ ფაშისტების მიტინგს პოლიცია მფარველობს.
- — ინგლისის ორჭოფული პოლიტიკა საზღვაო შეიარაღების საკითხში.
- — პლებისციტის წინ საარის ოლქში.
- — კონტრრევოლუციონერი არმიაში პროპაგანდისტის წინააღმდეგ ინგლისში.
- — საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ჩეხო-სლოვაკიაში.
- — ლაგოდეხის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა.

მოდიან წითელი არმიის ახალი მებრძოლები

დღეიდან ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის რიგებს ემატება **ახალი შევსება.** 1910 წ. დაბადებულ ძველმსახურ წითელარმიელთა შესაცვლელად **მოდიან 1912 წელს** დაბადებული ახალგაზრდობის ახალი რაზმები.

ვინ არიან ისინი? **მუშები, კოლმეურნე** და ერთპიროვნული გლეხები, მოსამსახურეთა შვილები — ახალგაზრდები, რომლებიც გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს; ამ ხელისუფლებამ აღზარდა, ფეხზე დააყენა ისინი. სკოლებში, ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, ახალ მშენებლობაზე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში **საბჭოთა** ახალგაზრდობას აღუზარდა სიყვარული დიადი სამშობლოსადმი, რომელმაც მათ მისცა სიხარული ცოდნისა, სიხარული შრომისა.

გაწვევის პირველი დღეებიდანვე ჩვენ ვართ **არაჩვეულებრივი ენთუზიაზმის** მოწამენი. თვითეული რაიონი, თვითეული **სოფელი,** პარტიულ-საბჭოთა, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციები და მთელი მშრომელი მოსახლეობა უდიდეს მზრუნველობას და სიყვარულს იჩენდნენ ახალწვეულთა გამოცხადების დროს გამწვევ კომისიებში.

ჩვენი დიადი ქვეყნის მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან წითელ არმიას, ზუსტად ამოწმებენ წვეულ ახალგაზრდობას, ააშკარავებენ სოციალურად უცხო და მორალურად გახრწნილ ელემენტებს, რომლებისთვისაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის კარები დახურულია.

გაწვევის დღეები — ეს სახალხო ზეიმია. ჯანღონით სავსე ახალგაზრდები ხალისიანად მიისწრაფვიან გამწვევ წერტებისაკენ, უარს ამბობენ შეღავათებზე, მოითხოვენ საკადრო ნაწილში გაგზავნას. „დაბეჯითებით გთხოვთ გამგზავნოთ კადრში, — აცხადებდა კოლმეურნე გიგაური, — ჩემ ცოლს და შვილს არა უჭირსრა, ორას ოცი შრომადღე მაქვს გამომუშავებული და ამით იცხოვრებენ“-ო. ხოლო მოხუცი კოლმეურნე ძამუკაშვილი ამტკიცებს, რომ მისი შვილი სავსებით ჯანსაღია და თხოულობს კადრში გაგზავნას. ძამუკაშვილი მარტო არაა.

მთელ მსოფლიოში არსად არ არის ისეთი მზრუნველობა და სიყვარული არმიისადმი, როგორც ჩვენში. საბჭოთა კავშირის მშრომელთ უყვართ თავისი წითელი არმია, პატივს ცემენ მას, ზრუნავენ მისთვის. თვით ახალგაზრდობა გაწვევის დღეებში გარემოცული იყო უდიდეს სიყვარულის და პატივისცემის გრძნობით.

დღევანდელი წითელი არმიის რიგებს ავსებს საკადრო ნაწილებისათვის შერჩეული ახალგაზრდობა. ბევრ მათგანს გულს უმშვენებს „ვოროშილოველისებური მსროლელის“ და „მზად ვარ შრომის და თავდაცვისათვის“ ნიშნები. ასე, მაგალითად, აჭარისტანი წელს აძლევს წითელ არმიას შერჩეულ ახალგაზრდობას. 75 პროც., მუშებს, 13 პროც. კომუნისტებს და 45 პროც., კომკავშირლებს. მათში არ არის წერაკითხვის არც ერთი უცოდინარი. მათი უმრავლესობა შრომის ფრონტის მებრძოლთა საუკეთესო დამკვრელებია.

ჩვენი ვალია მოვუწყოთ წითელ არმიის ახალ შევსებას საზეიმო გაცილება. ყველა პარტიულმა, კომკავშირულმა, საბჭოთა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა დარაზმონ ახალწვეულთა და გამცილებელთა აქტივობა და ეს დღეები გადააქციონ ნამდვილ სახალხო ზეიმად.

წითელ არმიაში მიმავლების ნაცვლად ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებს, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს უბრუნდებიან ახალი ძალები, რომლებმაც გაათავეს სამხედრო სამსახური. მათ თან მოაქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, სიმტკიცე და შრომის უნარი წითელი მეომრებისა. მათი დაბრუნება ხდება სწორედ საბჭოთა არჩევნების კამპანიის დროს. ჩვენი ვალია მოვუწყოთ მათ გულთბილი შეხვედრა, მივცეთ სათანადო სამუშაო და საუკეთესო აქტივი წამოვსწიოთ საბჭოებში.

წითელი არმიის რიგებს ავსებენ ჩვენი დიდი სამშობლოს კარგი და შემოწმებული, ბოლშევიკური პარტიისა და მისი საყვარელი ბელადის — ამხ. სტალინის უსაზღვროდ ერთგული შვილები.

მხურვალე სალამი მათ — წითელი არმიის ახალწვეულებს!

◆

სასპორტო მუშაობის მაღალი ხარისხისათვის

აგვისტოს 12-ს გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიუროს დადგენილება „ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიაც მოცემულია ფიზკულტურის დარგში მთელი შემდგომი მუშაობის პროგრამა. ცენტრალურმა კომიტეტმა ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითად ამოცანად დასახა ამ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და განხორციელება ლოზუნგისა „დავეწიოთ და გავუსწროთ ბურჟუაზიულ რეკორდებს“.

უკვე გადაჭარბებით შესრულებულია დავალება ნიშნის **„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“** პირველი საფეხურის კომპლექსის საკონტროლო ციფრის გადაჭარბებით შესრულების შესახებ. საკონტროლო დავალება ამ დარგში უდრიდა 17.000 კაცს, ფაქტიურად დღეისათვის ნორმები ჩაბარებული აქვს 25.000 კაცს.

ფიზკულტურული მუშაობის ხარისხობრივი ჩამორჩენის ერთერთ ძირითად მიზეზად ც. კ-ის დადგენილება ასახელებდა ინსტრუქტორთა კადრების სიმცირეს და დაბალ კვალიფიკაციას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად ც. კ-ი წინადადებას აძლევდა ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს მოეწყო ქალაქებსა და ცალკე საწარმოებში სკოლები სპორტის ცალკეული სახის მასტეროების მოსამზადებლად. წლის ბოლომდე ტფილისში გასახსნელ ათი სკოლიდან უკვე გახსნილია და მუშაობს ოთხი სკოლა. დამტკიცებულია ბიუჯეტი და გამოყოფილია საჭირო თანხა სკოლების მოსაწყობად დანარჩენ ქალაქებშიც.

გადიდებულია ფიზკულტურის ტექნიკუმის მსმენელთა რიცხვი 120 კაციდან 200-დე. გაშლილია ფიზკულტურელთა საოქტომბრო აღლუმის სამზადისი, სასპორტო მიღწევათა ამაღლების მიზნით შემოღებულია ვარჯიშისათვის გამოყოფილი გუნდების განთავისუფლება მუშაობისაგან, მუშავდება საბავშო ნიშნის **„მზად იყავ შრომისა და თავდაცვისათვის“** საკონტროლო ციფრები.

ყველა ეს, ეჭვი არ არის, მნიშვნელოვნად აამაღლებს სასპორტო მუშაობის ხარისხს, რომელიც დღესდღეობით დაბალ დონეზე დგას როგორც ტფილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ადგილებში. ეს ნათლად დაამტკიცა ჩვენი ფიზკულტურელების მონაწილეობამ მძლეოსნობის ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშებაში და მოსკოვ-ლენინგრად-ტფილისის ჩოგბურთელთა შეხვედრაში.

მძლეოსნურ შეჯიბრებაში ჩვენმა ფიზკულტურელებმა წააგეს სპორტის ისეთ სახეებშიც კი, სადაც მათი გამარჯვება თითქოს უდავო იყო. რაც შეეხება ჩოგბურთს (ტენისი), აქ მოსკოვის და ლენინგრადის მოთამაშეებმა ძალზე შორს მოიტოვეს ტფილისელები. ეს მოწმობს, რომ საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის ბიუროს დადგენილების ის ნაწილი, რომელიც სასპორტო ოსტატობის დონის ამაღლებას ეხება, ნელა ხორციელდება.

ის ყურადღება, რომლითაც პარტია და ხელისუფლება ეპყრობიან ფიზკულტურას, საუკეთესო პირობას ქმნის ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის. ეს პირობა მთლიანად უნდა გამოიყენონ ჩვენმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

საბჭოთა ფიზკულტურელი უნდა **იყოს ყველაზე ძლიერი, მოქნილი და ლამაზი მთელს მსოფლიოში.** პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ ამას მივაღწევთ.

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტის მისალმება „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას“ რედაქციას

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტი უგზავნის სალამს ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მებრძოლ გაზეთს „ბოლშევისტსკაია პუტიოვკას“ მისი არსებობის წლისთავზე.

„ბოლშევისტსკაია პუტიოვკამ“ დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რკინისგზების გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში და გახდა გზის პოლიტგანყოფილების საიმედო თანაშემწე.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა“ და მისი მუშკორები შემდეგშიაც წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის ბრძოლაში.

საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. სამხარეო კომიტეტი.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის შესახებ მოლაპარაკების გარშემო

ტოკიო, 30 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იურენევმა დღეს ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი ხიროტა. ფიქრობენ, რომ იურენევმა გადასცა საბჭოთა მთავრობის პასუხი ხიროტას 22 ოქტომბრის წინადადებაზე და მოელიან, რომ მათი შეხვედრა საგრძნობლად შეუწყობს ხელს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების სწრაფად დამთავრებას. (ადს).

⁂

უკანასკნელ დროს იაპონიის პრესამ კვლავ დაიწყო არასწორი ინფორმაციის გავრცელება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის საკითხზე მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. ამ ინიციატივის თანახმად, მანჯურიის პრესამ, ისევე, როგორც წინათ ასეთ შემთხვევებში გააჩაღა ანტისაბჭოთა კამპანია და იგი იქამდეც კი მიდის, რომ უტიფარ ბრალდებებს აყენებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, საკავშირო დეპეშათა სააგენტომ საქმესთან გაცნობილ წრეებში შეაგროვა ინფორმაცია მოლაპარაკების საკითხებზე და აწოდებს მას საზოგადოებრივ აზრს.

მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს 18 და 27 აგვისტოს ცნობები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის გარშემო წარმოებული მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოითხოვეს მოლაპარაკების განახლება, რომელიც შეწყვეტილ იქნა აგვისტოს დამდეგს იმის გამო, რომ იაპონია-მანჯურიის მხარემ მოითხოვა ყველა წინადადების მიღება.

6 სექტემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხიროტამ აცნობა იურენევს, რომ იგი გაადიდებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ფასს 120 მილიონი იენიდან, რომელიც იაპონია-მანჯურიის მხარემ 23 ივლისს შესთავაზა, 130 მილიონ იენამდე.

12 სექტემბერს იურენევმა განუცხადა ხიროტას, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, 15 თვის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების შემდეგ არ ღირს წვრილი და ხანგრძლივი ვაჭრობის გზაზე დადგომა და რომ უკვე დროა ნამდვილად დამთავრდეს მოლაპარაკებათ. თუმცა ფასი 160 მილიონი იენი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ 30 ივლისს მოითხოვა, უკვე წარმოადგენს დიდ მსხვერპლს საბჭოთა კავშირის მხრით, რამდენადაც იგი გზის ნამდვილ ღირებულებაზე გაცილებით დაბალია, საბჭ. მთავრობა მზადაა იმ პირობით, თუ შეწყდება ვაჭრობა და დაუყოვნებლივ მიღებული იქნება იაპონიის მთავრობის თანხმობა ამ წინადადებაზე, შეუთანხმდეს მას საშუალო ფასის შესახებ, რომელიც მიღებული იქნება საბჭოთა მთავრობის მიერ მოთხოვნილი 160 მილიონი იენის და იაპონიის მიერ შემოთავაზებული 130 მილიონი იენის განსხვავების შუაზე გაყოფის გზით, ე. ი. 145 მილიონ იენზე.

ამის საპასუხოდ ხიროტამ, 145 მილიონი იენის ნაცვლად, შესძლია 140 მილიონი იენი.

19 სექტემბერს ამხ. იურენევმა აცნობა ხიროტას, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელსაც არ სურს მონაწილეობის მიღება მოლაპარაკების გაჭიანურებაში, თანახმაა გაყიდოს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზა 140 მილიონ იენად, ამასთან, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის ახალმა მეპატრონემ ამ თანხის გარდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილ იქნებიან, უნდა გადაუხადოს გამოსასვლელი თანხები.

შეთანხმების მიღწევის შემდეგ მოლაპარაკება გრძელდებოდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის სხვა პირობების შესახებ. აღნიშნულ პირობებს შორის ყველაზე მეტი ყურადღება ექცევა ორ საკითხს: გზის გადაცემის წესის საკითხს და გამოსასყიდი თანხის გადახდის გარანტიების საკითხს.

პირველ საკითხზე იაპონია-მანჯურიის მხარემ წამოაყენა წინადადება, რათა მთელი უფლება გზაზე დაუყოვნებლივ გადაეცეს მანჯოუგოს იმ მომენტიდან, როგორც კი ხელმოწერილი იქნება შეთანხმება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის შესახებ. ამასთან ერთად იაპონია-მანჯურიის მხარე დაჟინებით მოითხოვდა, რომ გზა გადასცემოდა ახალ მფლობელს ერთი თვის განმავლობაში დღიდან აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის შესახებ შეთანხმების ხელისმოწერისა. შეთანხმების სასწრაფოდ მიღწევის მიზნით, საბჭოთა მხარემ მიიღო ხიროტას წინადადება, რათა გზა დაუყოვნებლივ გადასულიყო მანჯურიის ხელში, როგორც კი ხელმოწერილი იქნებოდა შეთანხმება. მაგრამ მას არ შეეძლო დათანხმებულიყო გზის მიღება-ჩაბარების შემოთავაზებულ წესზე, ვინაიდან ეს პრაქტიკა მოასწავებდა იმას, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ბატონ-პატრონი იქნებოდა მანჯოუგო, ხოლო პასუხისმგებლობა გზის მუშაობისა და მეურნეობისათვის იმ დროის განმავლობაში დაეკისრებოდა საბჭოთა მხარეს.

იაპონია-მანჯურიის ზოგიერთი ხელისუფალის აზრთა თავისებურობის პირობებში ასეთ მდგომარეობას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სერიოზული კონფლიქტები და საფრთხე ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისათვის.

რამდენადაც გზა იყიდება არა მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით, არამედ შეთანხმებულ მინიმალური ფასით, დაუსაბუთებლად გვეჩვენება იაპონია-მანჯურიის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გზის მიღება-ჩაბარება მოხდეს აღწერილობის თანახმად. ეს მთხოვნა მით უმეტეს დაუსაბუთებელია, რომ თავის დროზე ხიროტას გადაეცა ცნობა გზის ანგარიშების მდგომარეობის შესახებ და მათ შორის ყველა იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც უნდა მიიღოს გზის ახალმა მფლობელმა. თავისთავად ცხადია, რომ გზის გაყიდვის გარშემო შეთანხმების ხელმოწერის მომენტისათვის შედგენილი იქნება დამატებითი ცნობა პირველი ცნობის გადაცემის შემდეგ წამოჭრილ ვალდებულებათა შესახებ.

შემდეგ საკითხს, რომელმაც გამოიწვია სიძნელეები, წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, რომ მანჯოუგომ მისცეს საბჭოთა კავშირს ვალდებულებანი გამოსასყიდი თანხის იმ ნაწილზე, რომელიც არ უნდა იქნას დაუყოვნებლივ გადახდილი, და რომ იაპონიამ უზრუნველყოს მანჯოუგოს ეს ვალდებულებანი გადასახდელის როგორც ფულადი, ისე საქონლის ნაწილის მხრივ. ხიროტა არ ეთანხმება საბჭოთა მხარის ამ მოთხოვნას და წინადადებას იძლევა, რომ ვალდებულებათა ნაცვლად საბჭოთა კავშირის მხრით მიღებულ იქნას მანჯოუგოსადმი ნდობის პრინციპი. ამავე დროს აბსოლუტურად გასაგებია სურვილი საბჭოთა კავშირისა, რომელიც ხელმოწერისთანავე დაუყოვნებლივ აბარებს მანჯოუგოს უდიდეს სატრანსპორტო-სამეურნეო კომბინატს, უზრუნველყოს მანჯოუგოს მხრით ის ვალდებულებანი, რომელთა შესასრულებლად მას 3 წლის ვადა ეძლევა.

დანარჩენ სადაო საკითხებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხს საბჭოთა კავშირის იმ ქონების დაბრუნების შესახებ, რომელიც არ ეკუთვნის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზასა და რომელიც ჩარჩენილია (გამოტოვებულია)... სხვა საკითხებზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. დაწესებულია, რომ გამოსასყიდი თანხის ორი მესამედი მიღებული იქნება საქონლით და ერთი მესამედი ფულადი გადასახდელით, მისი საზღვარგარეთ გადაგზავნის უფლებით, ამასთან ამ უკანასკნელი თანხის ნახევარი გადახდილი იქნება ხელშეკრულების დადებისთანავე. შემდეგ მიღწეულია პრინციპული შეთანხმება იმის შესახებ, რომ თუ იენის კურსი დაეცა ერთგვარი საზღვრის დაბლა, ფულადი გადასახდელი გამონაგარიშებული იქნება ოქროს კურსით.

საბჭოთა მოსამსახურეების და მუშების დათხოვნის საკითხზე მიღწეულია შეთანხმება, რომ მანჯურიის ახალი ადმინისტრაცია გააფრთხილებს მუშებს და მოსამსახურეებს დათხოვნის შესახებ სამი თვით ადრე და დათხოვნის შემდეგ მისცემს მათ უფლებას დარჩნენ მანჯურიაში ორი თვის განმავლობაში პირადი საქმეების მოსაგვარებლად.

დათხოვნილი მუშები და მოსამსახურეები მიიღებენ პენსიებს, გამოსასვლელ დახმარებას და მათ სავსებით გაუსწორდება ანგარიში გზაზე არსებულ წესების თანახმად, აგრეთვე მიეცემათ უფლება უფასოდ გადაიყვანონ თავისი ოჯახის წევრები და გადაზიდონ ქონება საბჭოთა კავშირის საზღვრამდე.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად უსაფუძვლოა იაპონიის და მანჯურიის პრესის ორგანოების უმრავლესობის კამპანია. არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ საბჭოთა კავშირმა თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში წარმოებული მოლაპარაკების დროს ყოველივე ღონე იხმარა, რათა წარმატებით დაემთავრებია ეს მოლაპარაკება იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის და საერთოდ მშვიდობიანობის საქმის ინტერესებისათვის. და მისი ბრალი როდია, თუ მის ღონისძიებებს წინააღმდეგობას უწევდენ მისი კონტრაგენტები.

საქმესთან გაცნობილ წრეებში აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება, სხვათა შორის, გაჭიანურდა აგრეთვე იმის გამო, რომ არაერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, როცა იაპონია-მანჯურიის მხარე უარს ამბობდა მის მიერ წინათ წამოყენებულ წინადადებებზე.

დარჩენილი უთანხმოება უმთავრესად შეეხება გამოსასყიდი თანხის გადახდის უზრუნველყოფას.

ფიქრობენ, რომ, თუ იაპონია-მანჯურიის მხარე გამოიჩენს კეთილ სურვილს, შეთანხმება ამ დანარჩენ საკითხებზედაც მიღწეული იქნება უმოკლეს ვადაში. (ადს).

საზღვაო შეიარაღების მოლაპარაკების ირგვლივ

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციული „ფლოტის დღის“ დღესასწაულობის დროს საზღვაო შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელმა ადმ. ტესიგმა, როგორც ჩანს, იაპონიის მიერ ლონდონში წამოყენებული მოთხოვნების საპასუხოდ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება საზღვაო გემები და დიდი კრეისერები, რადგან ამერიკის შორეული სამფლობელოები მისაწვდომია მხოლოდ დიდი სამხედრო გემებისათვის საწვავის საკმაო მარაგით. საზღვაო მინისტრმა სვენსონმა განაცხადა, რომ ფლოტის შენარჩუნება სახელშეკრულებო ნორმების ფარგლებში ეთანხმება ნაციონალური უშიშროების და საზღვაო ვაჭრობის მოთხოვნებს.

ამერიკელი კორესპონდენტების ცნობები ლონდონიდან აღნიშნავენ, რომ ამერიკის დელეგატები შეშფოთებული არიან ინგლისის პოზიციით საზღვაო მოლაპარაკებაში. მათ ეჭვი აქვთ, რომ ინგლისელები მხარს უჭერენ იაპონიას. (ადს).

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 29 ოქტომბერი. გუშინ და გუშინწინ საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც ორ ჯგუფად გაიყვნენ, ჩაატარეს შეჯიბრება ჩეხო-სლოვაკიის მუშათა კომბინირებულ გუნდებთან. საბჭოთა ფეხბურთელები გამოვიდნენ კლადნოსა და კარლსბადში, მძლეოსნები — კოშიცეში. ყველა შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა გუნდების სრული გამარჯვებით. საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლას სტადიონებზე ესწრებოდა მრავალი ათასი კაცი.

კოშიცეში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სერაფიმ ზნამენსკიმ, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა სირბილში 5.000 მეტრის მანძილზე ოთხი ჩეხო-სლოვაკელი მსუბუქი მძლეოსნის წინააღმდეგ, რომლებიც გარბოდნენ ესტაფეტის პრინციპის მიხედვით. ზნამენსკის დრო—15 წუთი და 5,2 წამი, ესტაფეტის დანარჩენ მონაწილეთა დრო—17 წუთი და 52,5 წამი (ადს).

პლებისციტის წინ საარის ოლქში

ბერლინი, 26 ოქტომბერი. ნაციონალ სოციალისტური წრეები შეშფოთებული არიან ხმებით პლებისციტის მოსალოდნელი გადადების შესახებ საარის ოლქში. საქმე იმაშია, რომ ხმის მიცემის უფლების არმქონეთა საარჩევნო სიებში შეტანასთან დაკავშირებით საარის ოლქის მთავრობის კომისიამ გასცა განკარგულება, რომ საარის ოლქში მცხოვრებ თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს წერილობით გაილაშქროს ამათუიმ ამომრჩევლის სიაში შეტანის წინააღმდეგ.

საარბრიუკენიდან მიღებული ცნობებით, აქამდის შემოვიდა 100 ათასზე მეტი ასეთი განცხადება. გამოძიებას დიდი დრო მოუნდება. ამასთან დაკავშირებით, საარბრიუკენის ბურგომისტრი ნაციონალ-სოციალისტი ნეიკესი „ფელკიშერ ბეობახტერში“ აღიარებს, რომ „სიაში შეაქვთ გარდაცვლილნი, ზოგიერთ სახელი შეტანილია ორჯერ და სხვ. „ასეთი შეცდომები სავსებით შესაძლოა, — ამბობს ნეიკესი, — მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არა აქვს“ და ამიტომ „ამ შეცდომებს არა აქვთ მნიშვნელობა“ (ადს).

უკრაინის მედიცინის ათდღიური საქართველოში

ძმური სალამი უკრაინის მედიცინის მუშაკებს!

Робітникам охорони здоровя Червоної України палке братерське витання!

Наша з Вами зустріч за весь тиждень Українськаї медицини, пусть пройти під гаслом дальнішого Закріплення культурної змички двох братерських Республік

Національна по формі, та інтернаціональна по змісту культура, скерована в напрямку дальнішого розгорнення творчих сил раніше пригноблених старим урядом націй, що стало можливим лише при умові диктатури пролетаріату

Хай живе великий Сталін організатор наших перемог!

ათდღიური

საქართველოში იწყება „უკრაინის მედიცინის ათდღიური“. ამ მიზნით, დღეს ტფილისში ჩამოდის უკრაინის სამეცნიერო აკადემიის დელეგაცია, რომელშიაც შედიან უკრაინის მთელი რიგი გამოჩენილი მეცნიერები და მედიცინის მოღვაწენი.

ამ ათი დღის განმავლობაში უკრაინის მეცნიერების წარმომადგენელნი საქართველოს მეცნიერებთან ერთად განიხილავენ მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მედიცინის განვითარებასთან უკრაინასა და საქართველოში. **ამ გაერთიანებული მუშაობის მთავარი მიზანია — მედიცინის დარგში თავისი მიღწევების ნიმუშების ჩვენება, ორი მოძმე რესპუბლიკის კულტურული დაახლოების კიდევ უფრო განმტკიცება და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა გამოცდილების შემდგომი ურთიერთ გაზიარებისა და კულტურული კავშირის განვითარებისათვის.**

დიადი ოქტომბრის შემდეგ განვლილი 17 წლის მანძილზე, ორივე ქვეყანამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია კულტურის განვითარებაში. მეცნიერება ნამდვილად ხდება მისაწვდომი მშრომელი მასების ფართო ფენებისათვის. ჩვენ უკვე გვყავს საკუთარი პროლეტარული ინტელიგენცია, მრავალ ათას სკოლაში მუშების და გლეხების ბავშვები სწავლობენ საკუთარ მშობლიურ ენაზე.

შინაარსით **სოციალისტური** და ფორმით ნაციონალური კულტურა მიზნად ისახავს მასების აღზრდას ინტერნაციონალიზმის საფუძველზე და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას.

ათდღიურმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დააახლოვოს, ურთიერთ შორის კიდევ უფრო დააკავშიროს ორი მოძმე რესპუბლიკა. ასეთი კავშირი შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. თვითმპყრობელობა აღვივებდა ეროვნულ შუღლს, ზღუდავდა ეროვნებათა განვითარებას. მუშათა კლასი აახლოვებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებებს.

საბჭოთა მედიცინა ადამიანის შესწავლით არ კმაყოფილდება. ადამიანის შესწავლა დაკავშირებულია სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებთან. სოციალისტური მშენებლობა მეცნიერებას უკავშირებს მუშების და გლეხების ინტერესებს. და ვაწყობთ რა სამეცნიერო-საჩვენებელ დაწესებულებების, ლაბორატორიების, კაბინეტების ფართო ქსელს, ჩვენ ყოველთვის ვისახავთ სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანებს, მშრომელთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ამოცანებს.

სამედიცინო დაწესებულებათა სისტემას, რომელიც შეუჩერებლივ იზრდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. **ამიტომ ამ დარგის მუშაკებისაგან ჩვენ მოვითხოვთ თავისი სპეციალობის ზედმიწევნით ცოდნას, დაკისრებული საქმის სიყვარულს, რათა კარგი ექიმის გარდა, იგი იყვეს შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეც სოფლად.** ამ დარგში დიდი მიღწევები აქვთ უკრაინის და საქართველოს მშრომელთ და უკრაინის მედიცინის ათდღიური უნდა გამოვიყენოთ ორივე რესპუბლიკის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

ორი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერების წარმომადგენელთა შემოქმედებითი მუშაობა დაგვანახვებს მათ მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში და დასახავს ღონისძიებებს ამ ორი რესპუბლიკის მეცნიერთა კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

ავაგოთ „კომუნისტის“ ესკადრილია!

ამხ. მუშიშვილის გამოწვევით შემომაქვს 100 მან. ვიწვევ: პ. ქიქოძეს, ფ. ნაროუშვილს, ნ. მიწიშვილს, სიმონ ჩიქოვანს, ლ. ასათიანს, კ. კალაძეს, გ. გაფრინდაშვილს, ნ. ზომლეთელს, ს. ჩანბას (აფხაზეთი), დ. დუმბაძეს (ბათომი), ს. კეცხოველს და დ. გაჩეჩილაძეს.

პ. ჩხიკვაძე.

★

შემომაქვს 100 მან. ვიწვევ: ელ. ხარიას, ი. ალანიას, აპ. კვირაიას, ა. გორგობიანს, ტ. კოლბაიას, დ. გოგეშვილს, პ. კვარაცხელიას, რ. ლეჟავას, რ. ვეკუას და ტრ. მზარელუას.

საქ. კპ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი **მ. ბარამია.**

★

შემომაქვს 50 მან. ვიწვევ „საქ. ჩაის“ ყველა ფაბრიკების დირექტორებს და მათ მოადგილეებს.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ხუბაკი.**

★

საქ. სახ. მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს თანამშრომლებს შემოაქვთ 500 მან. და იწვევენ საქ. სახ. საგეგმო კომისიის და აჭ. სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს თანამშრომლებს.

ს. ხაჩიძე.

★

ამხ. კოქლამაზაშვილის გამოწვევით შემომაქვს 50 მან. ვიწვევ: კვაცარიძეს, ზაზიხადიას, სიხარულიძეს, ქანჩაშვილს და ჩაკვეტაძეს.

ჟურაშვილი.

★

საქ. კვებვაჭრობის დირექციის თანამშრომლებს შემოაქვთ 543 მან. და იწვევენ საქვაჭრობის დირექციის თანამშრომლებს.

ლ. ხიმაშვილი.

ამხ. გ. მუშიშვილის გამოწვევით შემომაქვს 100 მან. ვიწვევ: ა. ჟურიდიას (მარტვილი), ი. ჩხაიძეს (ხობი), ვ. ნოდიას (აბაშა), ცაგარელს (ლიდიჭყონი), როგავას (ზუგდიდი), გ. გოგინავას (ხორში), ვ. ბერაიას (ხენაკი) და ჯანიშვილს (ნოსირი).

საქ. კ.პ. (ბ) ხენაკის რაიკომის მდივანი **შეჭვაია.**

★

გაზ. „ბოლშევიკური ტემპის“ რედაქციის თანამშრომლებს შემოაქვთ 100 მან.

გ. ჟურაშვილი.

★

სალიბაურის ჩაის ფაბრიკას შემოაქვს 250 მან.

★

ამხ. გაბუნიას გამოწვევით შემომაქვს 100 მან. ვიწვევ: იასონ ჯანაშიას, ვ. შოგირაძეს, ს. ჩაჩავას, ბ. გობეჩიას, ა. დგებუაძეს და ი. ცხაკაიას.

ლ. როგავა.

★

ა.-კ. სახელმწ. ბანკის და სახბანკის საქართველოს კანტორის თანამშრომლებს შემოაქვთ 1.000 მანეთი და იწვევენ ა.-კ. და საქართველოს ფინსახკომების თანამშრომლებს.

სამქუთხელი.

★

საქკვებვაჭრობის 1-ლი მაღაზიის თანამშრომლებს შემოაქვთ 120 მან. და იწვევენ მე-4 და მე-5 მაღაზიის თანამშრომლებს.

მამაგეიშვილი.

★

საქპროფსაბჭოს სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების სამმართველოს თანამშრომლებს შემოაქვთ 200 მან.

ხითაროვი.

ტფილისის საბჭოს თანამშრომლებს შემოაქვთ 2000 მან. და იწვევენ რაისაბჭოებს.

სამქუთხელი.

★

ამხ. ვ. ჯიქიას გამოწვევით შემომაქვს 100 მან. ვიწვევ: შ. მახარაძეს, კ. დევდარიანს, ს. ჩიგვილაძეს, ნ. ჩიქოვანს, პ. გუდევანიშვილს, პ. ქავთარაძეს, ვ. ერისთავს, შ. ჩიჩუას, ინჟ. მოსტკოვს, კ. ხვანიძეს, ს. ჟღენტიანს, ე. გომართელს და თ. მხეიძეს.

ნ. აბაშიძე.

★

საქკვებვაჭრობის მე-10 მაღაზიის მუშაკებს შემოაქვთ 130 მან. და იწვევენ მე-2 მაღაზიას.

გ. მაცაბერიძე.

★

შემომაქვს 50 მან. ვიწვევ მუჭუტა ჩიჩუას, გ. გორგიაშვილს, მ. ფალავანდიშვილს და ნ. ციცაგს.

ალ. თანდილაშვილი.

★

არტელ „ხიმლოკოკრასკას“ მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ 133 მან. და 57 კაპ. და იწვევენ არტელ „ქიმტემპის“ და „ძნელაძის“ თანამშრომლებს.

გ. სუნიშვილი.

★

აჭ. მიწსახკომის გამოწვევით, აჭარისტანის მიწსახკომს შემოაქვს 500 მან. და იწვევს ტუნგოტრესტს აჭარისტანის კანტორას, ბათომის ქალაქის გამწვანების ტრესტს, სალიბაურის და მეხამე საბჭოთა მეურნეობებს.

ი. მეგრელიძე.

★

საფინანსო საბანკო პროფკავშირის ხონის რაიადგილკომს შემოაქვს 198 მან.

ჯოხიძე.

ამხ. თოთიბაძის გამოწვევით შემომაქვს 30 მან. და ვიწვევ ქუთაისის, ტფილისის და ბათომის აბრეშუმის ხაქსოვი ფაბრიკის დირექტორებს და სამტრედიის, ხონის, თელავის და ქუთაისის ძაფსალებ ფაბრიკების ტექნიკურ ხელმძღვანელებს, პარტკომის მდივნებს და ფაბკომის თავმჯდომარეებს.

ვ. მეგრელიშვილი.

★

გაზ. „მოლოდოი რაბოჩის“ 15 წლისთავის სახ. № 2 ვახტის მუშებს და კომკავშირლებს შემოაქვთ 70 მან. და იწვევენ ბათომის ნავთის გადამამუშავებელ ქარხნების ყველა მუშებს და კომკავშირლებს.

კახაძე.

★

შემოგვაქვს ას-ასი მანეთი.

საქ. კ.პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი **ს. ჭელიძე.**

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **გიორგობიანი.**

★

ესკადრილიის ფონდში შემოიტანეს: ბორჩალოს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე ჟ. სტამბოლმა — 30 მან., მუხთა ყურბანოღლიმ, მამედ გუსეინ ოღლიმ, გუსეინ მურადოვმა, სურენ ურუმოვმა, ალი ალეპკეროვმა, ჰუსეინ შაბანოვმა და გ. ვოსკანოვმა 105 მან.

საქ. სახ. დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას შეაქვს 300 მან. და იწვევს ამავე კავშირის ყველა ადგილკომს.

შარიტაძე.

ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტისაგან

„კომუნისტის“ ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტი ყველა ორგანიზაციის საყურადღებოდ აცხადებს, რომ ფულის შეტანის შესახებ გაზეთში გამოცხადდება **მხოლოდ მას შემდეგ,** რაც რედაქციაში გადმოგზავნილ იქნება სახბანკის სისტემის ან ფოსტა-ტელეგრაფის ორგანოებიდან მიღებული ცნობა — ქვითარი (ან მისი ასლი) ფულის ნამდვილად გადარიცხვის ან შეტანის შესახებ ესკადრილიის ფონდში.

★

„კომუნისტის“ ესკადრილიის ასაგებ ფონდში ფული შეტანილ უნდა იქნას სახელმწ. ბანკში ესკადრილიის ანგარიშზე № 160412, წარწერით „ესკადრილიისათვის“, ანდა „კომუნისტის“ გამომცემლობის კანტორაში (ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34).

„კომუნისტის“ ესკადრილიის ასაგებ ფონდში დღეიდან ფული შეტანილი უნდა იქნას **სახელმწიფო ბანკში** ესკადრილიის ანგარიშზე № 160412 წარწერით: „ესკადრილიისთვის“, ანდა „კომუნისტის“ გამომცემლობის კანტორაში (ტფილისი, რუსთაველის პრ. № 34).

1 ნოემბრისათვის „კომუნისტის“ ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემოსულია სულ 164.961 მ. 7 კაპ.

საქართველოს ეროვნული

დეპეშები

ესპანეთში გრძელდება მღელვარება

ლონდონი, 29 ოქტომბერი. ესპანეთიდან მიღებული ცნობით, ასტურიაში მღელვარება ჯერ კიდევ გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ მის ჩასაქრობად გაგზავნილია 20 ათასი ჯარისკაცი. ასტურიაში 50 ათასი აჯანყებულია — მეტწილად მაღაროელები. ბევრ ცენტრში, მათ შორის მადრიდშიაც, რკინისგზელები, ტრანსპორტელები და მრეწველობის მუშები იძულებულს ხდიან მეწარმეებს ხელი აიღონ გაფიცვის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიების გამოყენებაზე. ხმები, რომ არმიის ხარდლობა, ბევრ შემთხვევაში თვითონ უსწორდება პატიმრებს, როგორც ჩანს, სინამდვილეს შეეფერება. (ადს).

პარიზი, 29 ოქტომბერი. ირკვევა მთავრობის ჯარების მიერ ასტურიის რევოლუციური ცენტრისათვის — ოვიედოსათვის ყუმბარების დაშენის დაწვრილებითი სურათი. საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის განცხადებით, რომელმაც ასტურია ინახულა, სროლა იმდენად ძლიერი იყო, რომ ქალაქის დამცველები ვერ ახერხებდენ თავისი მკვდრების სასაფლაოზე გატანასაც კი და იძულებული ხდებოდენ ისინი სახლების მახლობლად დაესაფლავებინათ. იმავე მინისტრმა აღიარა, რომ „უცხოელი ლეგიონი და მაროკოელი მსროლელნი სწორედ დროზე მოვიდნენ", ვინაიდან მთავრობის სამხედრო ძალები ძლივსღა ახერხებდენ აჯანყებულებთან გამკლავებას.

„მატენის" სპეციალური კორესპონდენტი, რომელსაც რევოლუციონერებისადმი თანაგრძნობას ვერ დავწამებთ, ასე აგვიწერს ესპანეთში შექმნილ მდგომარეობას:

„მუშათა კვარტალებში ყველას აღშფოთება ეტყობა. სამინისტროთა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წინაშე დგანან გაძლიერებული პატრულები, რომლებიც გამვლელთ საშუალებას არ აძლევენ ერთი წუთითაც კი შეჩერდნენ... არმია მთავრობას მეტად გულცივად ეკიდება. გენერალთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობას შორის თანხმობა არ არის... ქვეყანა ფრიად შეშფოთებულ და გაურკვეველ მდგომარეობაშია". (ადს).

ბრძოლა თავისუფლებისათვის

ლონდონი, 29 ოქტომბერი. გუშინ გაიმართა 9 ათასი კაცისაგან შემდგარი დემონსტრაცია ჯარებში პროპაგანდასთან ბრძოლის კანონპროექტის წინააღმდეგ. დემონსტრაცია სამოქალაქო თავისუფლებათა სრულიად ინგლისის საბჭომ მოაწყო. მასში მონაწილეობა მიიღეს ლეიბორისტულმა პარტიამ, დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ, კომპარტიამ, პროფკავშირთა ლონდონის საბჭომ და მთელმა რიგმა ტრედიუნიონებმა. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც გმობს ჯარებში პროპაგანდასთან ბრძოლის კანონპროექტს. ესპანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ზამორას სახელზე ბივენის, ბენ ტილეტის, გოსიპის, მელორის და მაკ-გოუენის ხელისმოწერით გაიგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ხალხთა მოძრაობის ბელადებისათვის სასიკვდილო განაჩენების გამოტანის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მსჯავრდადებულთა დასჯის დაუყოვნებლივ შეწყვეტას". (ადს).

მარსელის მკვლელობის კვალდაკვალ

ვენა, 29 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის პრესა მკაცრად აკრიტიკებს უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა საქციელს, რომელნიც, გაზეთის სიტყვით, საბოტაჟს უწევენ მარსელის მკვლელობის საქმის გამოძიებას. ბელგრადის გაზ. „პოლიტიკას" სიტყვით, ეს კვლევა-ძიების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზია. „ვრემეს" სიტყვით, 23 ოქტომბერს ბუდაპეშტის პოლიციის სამმართველოს განყოფილების უფროსმა აცნობა პრესას, რომ სამხრეთ-სლავიის საელჩოს მოთხოვნით დაპატიმრებულია ვინმე „ხორვატელი ემიგრანტი". მაგრამ მეორე დღეს უნგრეთის სააგენტომ უარყო ეს ცნობა, ხოლო უნგრეთის გაზეთებს აეკრძალათ ამ საკითხზე წერა.

„ვრემე" იუწყება, რომ ბუდაპეშტში სამხრეთ-სლავიის საელჩოს მოთხოვნით მართლაც დააპატიმრეს ხორვატელი ტერორისტების ბელადი სერვაზი. იგი ფიუმეში ამზადებდა ტერორისტებს ორიბოს მეთაურობით სამხრეთ-სლავიის მეფეზე თავდასხმის მოსახდენად ზაგრებში წარსული წლის დეკემბერში, აგრეთვე თითქოს გადაარჩია ტერორისტული ჯგუფის მონაწილენი თავდასხმის მოსაწყობად მარსელში. უნგრეთშივე სერვაზი იყო ტერორისტული ჯგუფების ხელმძღვანელი პერჩევიჩთან ერთად; იგი ემორჩილებოდა პაველიჩს და ცხოვრობდა სენდრეის გვარით. ემყარება რა სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, გაზეთი ამტკიცებს, რომ უნგრეთის პოლიციამ მოჰკლა სერვაზი, რათა თავიდან მოეშორებია არასასურველი მოწმე.

ავსტრიის პრესა ადასტურებს ცნობას ვენაში ხორვატელთა ბელადის პერჩევიჩის დაპატიმრების შესახებ და, ემყარება რა ოფიციალურ წყაროებს, ამტკიცებს, რომ დაპატიმრებულის გაჩხრეკამ და დაკითხვამ არ დაადასტურა პერჩევიჩის მონაწილეობა მარსელის მკვლელობაში. ამავე დროს, სამხრეთ-სლავიის გაზეთი აცხადებს, რომ პერჩევიჩს ჰქონდა ბინები ვენაში და ბუდაპეშტში. იგი ხორვატელ ემიგრანტების სახელით გამოდიოდა ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე და მანვე უშოვა მარსელელ მკვლელებს პასპორტები. (ადს).

აჯანყებულთა მოძრაობა მანჯურიაში

ხაბაროვსკი, 28 ოქტომბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, მანჯურიაში, აჯანყებულთა მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, ახალი დამსჯელი ექსპედიციები ეწყობა. იაპონურ სააგენტო „კოკუცუს" სიტყვით, ამჟამად გირინის პროვინციის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით მომქმედი დამსჯელი ექსპედიცია 1935 წლის ივნისამდე გაგრძელდება. სამხედრო მინისტრი ჩან ბინ-კუი თვითმფრინავით გაემგზავრა ექსპედიციის რაიონში, რომ დაათვალიეროს ამ ექსპედიციაში მონაწილე ჯარები. განზრახულია ბუდანძიანის, დუნინის, ტუმინის და სხვა პუნქტების დათვალიერება (ადს).

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვოდოპიანოვი სტუმრად სოფელ კალინინის (აზოვ-შავიზღვის მხარის) პირველი არტელის კოლმეურნეებთან.

ზამთარი ილო ჯამალაშვილის ბრიგადისათვისაც დადგება

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

დადგებოდა ზამთარი და როცა სუსხიან ქარბუქს მოჰყვებოდა თოვლი სწორედ მაშინ მოაგონდებოდათ სოფ. **არბოშიკის** კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს პირუტყვისათვის—საზამთრო საძოვრების გამონახვა, ბინების რემონტი, საკვების მომარაგებაც მწყემსებისათვის. საცხოვრებელი ქოხი და ნაბადი, შინელი და ქალამანი.

გაზაფხულზე მწყემსები დათვლიდენ ცხვარს, ფარა თითქმის განახევრებული იყო. ცუდსა და ცივ ფარეხში ზამთრად იხოცებოდა ბატკანი, თოხლი, ყოჩი და ჭედილა. ბერწდებოდა და იხოცებოდა დედაცხვარიც.

ასე იყო აქ წინად, მაგრამ ასე არ არის ახლა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ამჟამად მტკიცედ აქვთ შეგნებული ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნამატისა და ძირითადი ჯოგის შენარჩუნებაში პირუტყვის გამოზამთრების სწორ ორგანიზაციას.

დიახ! მტკიცედ აქვთ შეგნებული და საქმითაც იბრძვიან წარსული შეცდომების გამოსწორებისათვის. სწორედ ამ ბრძოლის შედეგია ის, რომ **უკანასკნელი ცხრა თვის განმავლობაში 6.140-დან ცხვრის საერთო რაოდენობა აქ 8.112-მდე** გაიზარდა, რომ საკოლმეურნეო ფერმებმა წელს გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, მატყლის და რძის პროდუქტების დამზადების გეგმები.

კოლმეურნეობის პირუტყვი ჯერ კიდევ საზაფხულო იალაღებზე შავნაბადას მთაში იყო, როცა აქ გამოზამთრების გეგმა შეადგინეს და შეუდგენ პრაქტიკულ მუშაობას. საზამთრო საძოვრები ჩათმაში და ივრის ნაპირებზე აიღეს. ცხვარი, ძროხა და ცხენი გამრავლდა, ამიტომ საჭირო გახდა არა მარტო ძველი ბინების რემონტი, არამედ თავდადებული მუშაობა ახალი ბინების აგების და ძველის გაფართოებისათვის.

ეს ასეც მოხდა. ყველა ბრიგადამ გამოყო დურგლები. ბინების მშენებლობა დამკვრელურ სამუშაოდ გამოაცხადეს, ცხვარი ამჟამად მთლიანად უზრუნველყოფილია ნახევრად კულტურული სუფთა და სინათლიანი სადგომებით. **სანდრო ბალაშვილის ბრიგადამ ცხვრის ახალი ბინის მშენებლობა ვადამდე 17 დღით ადრე დაამთავრა**; ეს ბინა 1.000-ს ნაცვლად 1200 ცხვარს იტევს. ბრიგადა № 2-ში ჩატარდა ძველი ბინის გაფართოება, რომელსაც შეუძლია დაიტიოს 1.100 ცხვარი. ბრიგადაში № 5, რომელსაც გამოცდილი მწყემსი **ვასილა ნანობაშვილი** ხელმძღვანელობს, ბინები ისეა მოწყობილი, რომ იგი იტევს 700 ცხვარის ნაცვლად 1.100 ცხვარს.

სოფ. არბოშიკის (სიღნაღის რ.) კოლმეურნეობა.

მეცხვარეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ლ. ბალეშვილი და დამკვრელი მწყემსი კომკავშირელი ი. ტეტელაშვილი, რომლებიც წარდგენილია რესპუბლიკურ ჯილდოზე საუკეთესო მწყემსზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებისთვის

აღნიშნულ ბრიგადებში წელსვე მწყემსებისათვის აიგო აგრეთვე კულტურული საცხოვრებელი ბინები, რომელშიც დაიდგმება ვეჩი.

ამჟამად მიმდინარეობს ფარდულის მშენებლობა 50 ცხენისათვის. მუშა-პირუტყვისათვის აგებენ აგრეთვე ორ ბოსელს (160 პირუტყვის ტევადობით), რომლის მშენებლობა უახლოეს დღეებში დამთავრდება.

კოლმეურნეობას პირუტყვისათვის გამოყოფილი აქვს 17.894 ფუთი უხეში საკვები, რაც მთლიანად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას. წელს თვითეულ ცხვარზე საშუალოდ ერთ ფუთზე მეტი თივა მოდის, შარშან კი ამის ნახევარიც არ იყო.

ზამთრისათვის მზადების საქმეს სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობაში ნაკლოვანებებიც ახასიათებს. უხეში საკვები, რომელიც საზამთრო საძოვრებიდან 45—50 კილომეტრის დაშორებით იმყოფება, მთლიანად ჯერ კიდევ არ არის მიზიდული ადგილზე (გადაზიდვის გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით).

ილო ჯამალაშვილის ბრიგადაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ფარეხის მშენებლობა. რემონტის ხარისხი დაბალია, (ფულის წვიმა, არ არის სინათლე). შეუკეთებელია საბატკნეებიც. 23 ოქტომბრისათვის ბრიგადას **არც ერთი კილოგრამი თივა არ ჰქონდა მიზიდული ადგილზე.**

კოლმეურნეობას არ აქვს საკმაო რაოდენობით კონცენტრირებული საკვები. გამოყოფილია მხოლოდ 690 ფუთი ქერი, ეს იმ დროს, როცა მარტო ცხენებისათვის საჭიროა კონცენტრირებული საკვები 1.000 ფუთზე მეტი. თუ მხედველობაში მივიღებთ ძროხასა და ცხვარს—საკვების ეს რაოდენობა 20 პროცენტითაც არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

—ამ ნაკლოვანებებსაც დაჩქარებით გამოვასწორებთ, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ რაც უნდა დაგვიჯდეს—ზამთარს ყოველმხრივ მომზადებულად შევხვდეთ—აცხადებენ კოლმეურნეობის დამკვრელი მწყემსები.

ეს დაპირება მათ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეასრულონ.

ნ. აცანილი

ლიხაურის სოფლის საბჭო ჩაისათვის ბრძოლაში

(მახარაძის რაიონი)

ჩაისათვის ბრძოლა მოქცეულია ლიხაურის სასოფლო საბჭოს თვითეული წევრის და სადეპუტატო ჯგუფის ყურადღების ცენტრში. ეს სხვათაშორის იმითაც აიხსნება, რომ სასოფლო-სამეურნეო სექცია (ხელმძღვანელი ამხ. დ. ლომჯარია) ოპერატიულად მუშაობს ჩაის დარგში.

მიმდინარე წლის მაისში ე. ი. როცა კრეფა და თოხნა დაიწყო—საბჭომ შეამოწმა კოლმეურნეობები და ერთპიროვნული მეურნეობები. (კოლმეურნეობებში ჩაი გაშენებულია 420 ჰექტარზე, ერთპიროვნულ მეურნეობებში კი 20 ჰექტ.). რა გამოირკვა?

კოლმეურნეობა „წინსვლაში" (თავმჯდომარე ამხ. **ვ. რამიშვილი**) ჩაის ფოთოლს ფართოუკებში და ტომრებში კრეფდენ, რითაც ავნებდენ ხარისხს.

სოფ. ჭანიეთის მიმღებ პუნქტთან მისასვლელი გზა ხეირიანად არ იყო შეკეთებული.

ცალკეულ უბნებზე მიმაგრებულიქნენ საბჭოს წევრი და აქტივი.

კოლმეურნეობა „იმედი" (თავმჯდომარე **ვალ. გორგოშიძე** და სოფ. **კვაჭალათის** (თავმჯდომარე—**ანტონ თოიძე**) ივნისში ჩამორჩნენ თოხნაში. საჭირო იყო ამ კოლმეურნეობების მიერ მთელი ძალების დარაზმვა გარღვევის გამოსასწორებლად.

ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით მუშავდება ამ კოლმეურნეობათა აქტივის კრებაზე.

სასოფლო საბჭო ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში გზავნის პასუხისმგებელ მუშაკებს და დეფექტებიც სწორდება.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში საბჭოს თავმჯდომარე რაიონულ ხელმძღვანელი ორგანიზაციების წინაშე წარსდგა პატაკით".

მათ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ქონდათ გეგმის გარეშე 4.491 კილოგრამი.

ჩაის პლანტაციების გათოხნაც ვადაზე ჩაატარეს.

ჩაის დარგში მიღწეული წარმატებისაგან ლიხაურის საბჭოს ხელმძღვანელები არ მიეცნენ თვითკმაყოფილებას. აქ კარგად იციან, რომ საგაზაფხულო სამუშაოებთან ერთად მთავარია ჩაის საშემოდგომო სამუშაოების დროულად ჩატარება.

ლიხაურის სასოფლო საბჭო ჩაება რა საბჭოების მეშვიდე ყრილობის სახელობის საწარმოო ლაშქრობაში, სხვა საკითხებთან ერთად იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

ოქტომბრის შუა რიცხვებში საბჭომ **შეამოწმა** ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დროა საშემოდგომო სამუშაოთა ჩატარებისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს 20 ოქტომბრის დადგენილებაში (ოქმი № 2) ვკითხულობთ: „ჩაისათვის ნიადაგის მომზადებისა და სამელიორაციო სამუშაოთა მიმდინარეობის ტემპები არადამაკმაყოფილებელია".

საბჭომ დაავალა **სადეპუტატო ჯგუფების ხელმძღვანელებს** აამოქმედონ საწარმოო ბრიგადებზე მიმაგრებული საბჭოს წევრები, რომლებმაც პრაქტიკული დახმარებით უნდა უზრუნველყონ ჩაის გეგმების ვადაზე შესრულება.

„კომუნისტის" და „ლენინის დროშას" (მახარაძის რაიკომის გაზეთი) ბრიგადა:

თ. კუნჭულია.
ა. კირცხალია.

საბჭოების არჩევნების წინ

დ. ალხნია

საბჭოების არჩევნებისათვის

პირველ ნოემბერს იწყება ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ყველა სასოფლო საბჭოს არჩევნები. საბჭოების შემდგომი მუშაობის წარმატება საგრძნობლად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ხალხს აირჩევენ სასოფლო საბჭოებში. ამიტომ საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის დროს საჭიროა დიდი კლასობრივი სიფხიზლე, რათა საბჭოებში არ მოხვდენ უცხო და უმოქმედო (პასიური) ელემენტები, როგორც ამას ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საბჭოების 1930-31 წლ. არჩევნებში, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო 1933 წლის განმავლობაში სასოფლო საბჭოებიდან გაწვეულ იქნა 10.582 დეპუტატი, დეპუტატების საერთო რიცხვი კი 65.186-ს უდრიდა. აქედან საჭიროა გავაკეთოთ სათანადო ორგანიზაციული დასკვნები მომავალი კამპანიისათვის, სახელდობრ—საბჭოს წევრობის კანდიდატთა შერჩევას უნდა მივუდგეთ ძალიან ფრთხილად, უნდა ავირჩიოთ საუკეთესო, ღირსეული ადამიანები, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება ცხადჰყვეს და დაამტკიცეს დამკვრელური მუშაობით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

საბჭოების არჩევნების დამთავრების შემდეგ მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო საბჭოების მომუშავე აპარატის — მისი პრეზიდიუმის კონსტრუირებას. ეს, მეტად სერიოზული საკითხია, რადგან პრეზიდიუმის შემადგენლობაზე, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის და მდივნის თვისებებზე, საგრძნობლად დამოკიდებულია სასოფლო საბჭოების მთელი მუშაობის წარმატება. სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრები უნდა იყვნენ იმდენად ავტორიტეტული, ხოლო, რაც მთავარია, იმდენად კომპეტენტური სოფლის სამეურნეო-კულტურულ საკითხებში, რომ შეეძლოთ სასოფლო საბჭოს ამათუიმ დარგობრივი სექციის ან კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სადეპუტატო ჯგუფის მეთაურობა და მათი წარმატებით ხელმძღვანელობა. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის როლზე ბევრი ლაპარაკი ზედმეტია, ეს არის მთავარი პირი სასოფლო საბჭოში. მის მუშაობაზეა ძირითადად დამოკიდებული სასოფლო საბჭოს მთელი მუშაობის წარმატება. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა გულდასმით შერჩევას და მათ შენარჩუნებას სამუშაოზე ხანგრძლივი ვადით. ამავე დროს ადგილებზე ხშირად არასაკმაოდ აფასებენ ამ საკითხს. სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებად შემთხვევითი ადამიანების არჩევა, ხოლო ამის შედეგად ძლიერი დენადობა, მათი ხშირად შეცვლა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანა — მეტად გავრცელებული მოვლენაა: ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სასოფლო საბჭოების 2.565 თავმჯდომარიდან მხოლოდ 20-25 პროცენტს თუ აქვს ორი წლის და მეტი ხნის სტაჟი, დანარჩენი მასა ძალიან მცირე სტაჟითაა. ბევრ შემთხვევაში სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების მოხსნა ხდება სავსებით დასაბუთებულად: როცა ირკვევა, რომ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე დაუკავშირდა კულაკურ ელემენტებს და, კუდში მისჩანჩალებს რა მათ, ხელს უშლის სახელმწიფო დავალებების შესრულებას, ან როცა ირკვევა, რომ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ჩაიდინა დანაშაული. ასეთი შემთხვევების რიცხვი საგრძნობლად შეგვიძლია შევამციროთ, თუ უფრო გულდასმით შევარჩევთ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

თავმჯდომარესთან ერთად სასოფლო საბჭოში ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასოფლო საბჭოს მდივანი. ხშირად ამ ფიგურას არასაკმაოდ აფასებენ, მაშინ როცა მდივნის მუშაობის ხარისხზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული სასოფლო საბჭოში. რაიონიდან მიღებული კორესპონდენციის წინასწარი განხილვა, საკითხების მომზადება სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის და პლენუმის სხდომებისათვის, მათი მუშაობის გეგმის დასახვა, სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფებისათვის დახმარების გაწევა, მათი მუშაობის დაგეგმვასა და აღრიცხვაში, საქმეზე მიმსვლელთა მორიგი მომსახურება და მთელი რიგი სხვა მრავალმხრივი ფუნქციები—ყოველივე ეს მდივნის მოვალეობას შეადგენს. რაც უფრო კვალიფიციური იქნება მდივანი, მით უფრო გაუადვილდებათ მუშაობა სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს, ყოველივე ეს მოითხოვს მდივნების უფრო გულდასმით შერჩევას, როგორც კვალიფიციურობის, ისე სოციალური მდგომარეობის მხრივ.

მუშაობა გაიშალა

საბჭოების არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებით, ტფილისის საბჭომ ფართოდ გაშალა ტფილისის საწარმოთა სადეპუტატო ჯგუფების მუშაობის შემოწმება. ტარდება ტფილისის საწარმოებში. მომუშავე ყველა 90 სადეპუტატო ჯგუფის მუშაობის გამოკვლევა. 26 კომუნარის სახ. რაიონში და ორჯონიკიძის სახ. რაიონში სადეპუტატო ჯგუფების მუშაობის შემოწმება უკვე დამთავრდა.

ტფილისის საბჭოს და რაისაბჭოების ბრიგადებმა სულ გამოიკვლიეს 54 სადეპუტატო ჯგუფის მუშაობა, შედგენილია თვითეული დეპუტატის საქმიანი დახასიათება.

ტფილისის საბჭომ გამოჰყო აგრეთვე მთელ რიგი პასუხისმგებელი მუშაკები და მიავლინა ისინი საგარეუბნო რაიონების სოფლებში ადგილობრივი მუშაკებისათვის დახმარების გასაწევად საბჭოების არჩევნებისათვის მომზადებაში.

არჩევნებთან დაკავშირებით მოეწყო კოლმეურნეობა.

წარმატებით მიმდინარეობს

თელავი, 27 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს სოფ. ჯოყოლოს სასოფლო საბჭოს ყველა პუნქტში დეპუტატები ამომრჩევლებს ანგარიშს აბარებდენ ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამომრჩევლებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო პერიოდში სასოფლო საბჭოში აშენდა სკოლა, საავადმყოფო, სამკითხველო, მოეწყო საექიმო და ვეტერინარული პუნქტები, სოფ. დუი სოფელში შენდება ახალი ათ ოთახიანი სკოლა; საბჭომ იკისრა უახლოეს დღეებში დაამთავროს ამ სკოლის აგება.

არჩევნებთან დაკავშირებით, დუი სოფელში მოეწყო პირველი კოლმეურნეობა 15 კომლისაგან.

საბჭოების საარჩევნო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

საბჭოთა მე-7 ყრილობის სახ. ლაშქრობაში ჩაბმული რბილი კარამელის ბრიგადა ამხ. აგინოვას მეთაურობით ახარისხებს შოკოლადს

ბულეტენი

საქ. ა. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელ პარტორგანოების განყოფ. გამგე.

რაიკომები, თვითკრიტიკა და შინაპარტიული მუშაობა

რაიკომები პოლიტგანყოფილებებთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს წარმოადგენენ მთელ ჩვენს მუშაობაში სოფლად. რაიკომებს მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. არა ჰყავთ საკმაოდ კვალიფიციური კადრები. საოლქო ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ მათ. რაიონის ხელმძღვანელობას მოეთხოვება საქმის ცოდნა, დიდი გამოცდილება, ძლიერი ნებისყოფა და უნარი — მტკიცედ, ბოლშევიკურად გაატაროს პარტიის გადაწყვეტილებანი. ხელმძღვანელი, რომელიც აღჭურვილი არ არის ამ თვისებებით, იჩენს რაიმე ეჭვებს და ქედს იხრის სიძნელეების წინაშე, ჩამორჩება ცხოვრებას, პარტიის მოთხოვნებს.

პარტიის მე-XVII ყრილობის შემდეგ რაიკომების უმრავლესობამ უფრო ოპერატიულად იწყო მუშაობა და უფრო მედგრად იბრძვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის. მით უფრო აშკარად იჩენს თავს დეფექტები მთელი რიგი რაიკომების მუშაობაში. რაიკომების განმტკიცების პროცესმა გამოიწვია უვარგისი ხელმძღვანელების ახალი, უფრო ძლიერი და უნარიანი მუშაკებით შეცვლის საჭიროება. წლის დამდეგიდან დღემდე მთელს საბჭოთა კავშირში სამუშაოდან მოხსნილია რაიკომების და საქალაქო კომიტეტების დაახლოებით 200 მდივანი.

რითი უნდა აიხსნას ეს გარემოება?

პირველი მიზეზია — სარაიონო და საქალაქო კომიტეტების ნაწილის ხელმძღვანელ მუშაკთა უხეირო შერჩევა. საოლქო და სამხარეო კომიტეტები ყოველთვის როდი უზრუნველყოფენ რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს ხელმძღვანელთა მტკიცე კადრებით. ზოგჯერ ხელმძღვანელ სამუშაოზე იგზავნებოდენ უნიჭო, ნაკლებად შემოწმებული და მერყევი ადამიანები ეს იმ დროს, როცა კარგად მომუშავე, მზარდი კომუნისტები დაჩრდილულნი იყვნენ.

ზოგჯერ ისეთ ამხანაგს, რომელმაც ვერ გაართვა თავი სამუშაოს, გზავნიან იმავე სამუშაოზე სხვა ორგანიზაციაში, სადაც ვღებულობთ ასეთსავე სამწუხარო შედეგებს. ზოგიერთი საოლქო კომიტეტი სუსტ კონტროლს უწევს რაიონული მუშაკების საქმიანობას. განა ამის შემდეგ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამას წინათ ზოგიერთ რაიონულ ორგანიზაციაში აღმოჩენილი საქმეების საგრძნობი რაოდენობა შეუმჩნეველი რჩებოდა სამხარეო და საოლქო კომიტეტებისათვის?

პარტიული კადრების დენადობის მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ რაიონების ხელმძღვანელებს თავის დროზე არ აძლევდენ მითითებებს.

აქა-იქ ძალიან ხშირად ლიბერალურად ეკიდებიან რაიონებიდან მიცემულ ცალკეულ სიგნალებს. ამ სიგნალების მიხედვით ვერ ამჩნევენ შეცდომების ჩადენის საფრთხეს. ან და თუ ამჩნევენ, არ სურთ აწყენინონ თავის მუშაკებს. ბევრი ფიქრობს, რომ პარტიული მუშაკის გასწორება — ეს იმას ნიშნავს, რომ გამოუცხადო მას საყვედური ან მოხსნა სამუშაოდან. ეს —შეცდომაა. იმ ამხანაგების გამოსწორება, რომლებიც შეცდომებს უშვებენ, შეიძლება ამხანაგური საუბრების, კონკრეტული, საქმიანი მითითებების და სხვ. გზით.

მესამე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეულ რაიონებში სუსტადაა გაშლილი თვითკრიტიკა. რაიონული მუშაკების ნაწილმა, იმის გამო, რომ მათ მუშაობას სუსტ კონტროლს უწევდენ, იწყო ბოლშევიკური პარტიის ელემენტარული საფუძვლების დავიწყება. უკონტროლობის პირობებში ჩაყენებული ხელმძღვანელი ვერ ითმენს სულ მცირეოდენ კრიტიკასაც კი. ადამიანები იწყებენ იმ ძირითადი თვისებების დაკარგვას, რაც ახასიათებს ბოლშევიკის სახეს — სიფხიზლის და თავდაჭერილობის დაკარგვას.

ზოგიერთი მუშაკისათვის ძალიან სასარგებლოა მოიგონოს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ „უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — გამოვიწვიოთ **დაბლიდან** შემოქმედებითი თვითკრიტიკის მძლავრი შემხვედრი ტალღა, რომელიც ნამდვილად გამოაცოცხლებს და გააუმჯობესებს ყველა პარტიულ, პროფესიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციას... უზრუნველვყოთ შინაპარტიული კრიტიკის თავისუფლება, რაც გამორიცხავს ისეთ მეთოდებს, როცა დამოუკიდებელ აზრს და ყოველგვარ კრიტიკულ შენიშვნას წინასწარ გმობენ, როგორც „გადახრას", „აყალმაყალს" და სხვ.. მივაღწიოთ იმას, რომ მასებზე კომუნისტთა ზეგავლენის მეთოდები, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატებოდეს თვით პარტიის წევრთა სანიმუშო და სამაგალითო მუშაობაში, ამასთან პარტიის წევრებმა უპარტიო მუშათა დახმარებით უნდა გაშალონ გადამწყვეტი ბრძოლა კომუნისტთა „საყოფაცხოვრებო ლპობის წინააღმდეგ".

მას შემდეგ, რაც ეს მიმართვა იქნა გამოქვეყნებული, ჩვენში ბევრი რამ შეიცვალა. პარტიამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალისტური მშენებლობასა და თვითკრიტიკის გაშლაში. თვითკრიტიკა — ორგანიული იარაღია პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანიზაციის მუშაობაში. განუზომელად გაიზარდა მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობა და მისი მონაწილეობა სახელმწიფო აპარატში. მაგრამ ძალიან უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენში ყველაფერი თავის რიგზეა და გასაკრიტიკებელი არაფერი გვაქვს.

ჩვენი ყველა შემდგომი წარმატების ერთერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა. ტყუილად კი არ ჩაწერა მე-17 ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში: „აღნიშნული ამოცანების (მეორე ხუთწლედის ამოცანების — დ. ბ.) წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობად ყრილობას მიაჩნია პარტიულ მუშათა და კოლმეურნე მასების და მათი მასობრივი ორგანიზაციების თვითკრიტიკის, სოცშეჯიბრების და თვითმოქმედების გაშლა".

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ გახრწნის, პარტიული ხაზის აღმაშფოთებელი დარღვევის ფაქტები ცალკეულ რაიონებში დიდხნობით შეუმჩნეველი რჩებოდა. თვითკრიტიკის ჩამხშობნი თრგუნავდენ ორგანიზაციის ჯანსაღი ნაწილის ცდებს — ეწარმოებიათ ბრძოლა გადაგვარებულთა, პარტიის და მთავრობის რკინისებური დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ბევრ რაიკომში მაინც და მაინც არ უყვართ თვითკრიტიკა. როცა სამხარეო კომიტეტი ან საოლქო კომიტეტი აკრიტიკებს რაიკომს, ის ასე თუ ისე ურიგდება ამას. მაგრამ, როცა კრიტიკა დაბლიდან იწყება, მაშინ ჩვენ ძალიან ხშირად ვამჩნევთ, რომ რაიკომების ხელმძღვანელები ვერ ითმენენ მას. აქედან — თვითკრიტიკის ჩახშობა, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ცალკეული კომუნისტების გახრწნისათვის.

აი, მაგალითად, ავიღოთ სარატოვის მხარის პერელიუბსკის რაიონი. აქ ხელმძღვანელებმა დაკარგეს კლასობრივი სიფხიზლე, ისინი სისტემატიურად ლოთობდენ და არ ამხელდენ ერთმანეთის ცოდვებს. უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები ხდებოდა იმის საბაბად, რომ მოეწყოთ სხვადასხვაგვარი დროსტარებანი, რასაც ხშირად თანსდევდა ჩხუბი, ცემა-ტყეპა და სხვ. ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ კრიტიკის დაძვრისაც კი ჩანასახშივე ახშობდენ.

როგორ აფასებენ ჩვენში რაიკომების მუშაობას? უმთავრესად მრავალრიცხოვანი ცხრილების ციფრთა სვეტების მიხედვით. უდაოა, რომ ძირითადი ციფრები სამეურნეო ამოცანების შესრულების შესახებ წარმოადგენენ გადამწყვეტ მაჩვენებლებს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დასახასიათებლად. მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება. უნდა შევეწვევდეს უნარი ციფრების გრძელ სვეტებს იქეთ დავინახოთ ცოცხალი ადამიანები მთელი მათი თავისებურებებით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ხშირად არის ასეთი შემთხვევა: ღებულობენ, ვთქვათ, სიგნალს, რომ ამათუიმ ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე ვერ არის, შემდეგ ამ ციფრებს ივიწყებენ, ვინაიდან, მაგალითად, მიმდინარე კამპანიების ნაკრებ ცნობაში საშუალო ციფრები ამ რაიონის შესახებ არ იწვევენ შიშს. საერთო საშუალო დამამშვიდებელი ციფრი მიცემული რაიონის შესახებ ხშირად ფარავს ცალკეულ საგანგაშო სიგნალებს, რომლებიც მხოლოდ შემდეგ იჩენენ თავს მთელი სიმწვავით.

თვითეულ რაიონულ ორგანიზაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სამხარეო და საოლქო კომიტეტების იმ მუშაკებს, რომლებიც მიჩვეული არიან ხელმძღვანელობის გაწევას საშუალო ციფრების თვალსაზრისით, რაიონები ძალიან ხშირად სქემატიურად აქვთ წარმოდგენილი. თუ რაიონს აქვს წარმატება, არ სწავლობენ, მაგალითად, თუ რა მეთოდებით მიღწეულია წარმატება მოცემულ უბანზე, რატომ არ არის საერთო თანაბარი წარმატება მიცემულ რაიონში სამუშაოების მთელ ფრონტზე; რა არის ცალკეულ უბნებზე ჩამორჩენის მიზეზები. ივიწყებენ, რომ, სამეურნეო მუშაობის ციფრობრივი მაჩვენებლების გარდა, არის იდეურ - პოლიტიკურ მუშაობის ზოგიერთი, ძნელად შესამჩნევი მაჩვენებლები.

დნეპროპეტროვსკის ოლქში, საოლქო კომიტეტის მიერ ბოლშე-ბელოოზერსკის რაიონის გამოკვლევიდან თვენახევრის გასვლის შემდეგ, გამწმენდმა კომისიამ პარტიიდან გარიცხა ამ რაიონის რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი — რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე და სხვები — საზოგადოებრივი ქონების განიავებისა და საყოფაცხოვრებო გახრწნისათვის. არავითარი ფასი არა აქვს საოლქო კომიტეტიდან გაგზავნილ იმ გამომკვლევთა მუშაობას, რომლებმაც ვერ შეამჩნიეს ეს ამბები. აქ, ალბათ, გამოკვლევას ატარებდენ „საერთოდ", „საშუალო ციფრების" მიხედვით.

იქ, სადაც ადგილი აქვს გახრწნას, პარტიული ხაზის დამახინჯებას, იქ სუსტადაა დაყენებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ვინაიდან იდეურობა პარტიულ მუშაობაში —ეს უწინარეს, ყოვლისა, არის **თვითეული კომუნისტის** აქტიური მონაწილეობა პარტორგანიზაციის ცხოვრებაში, პარტიულ გადაწყვეტილებათა გატარებაში, პარტიული საკითხების ფართოდ განხილვაში, ცხოველი მონაწილეობა დეფექტების კრიტიკაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარტიული მასების აქტივობა უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ყურადღებას აქცევს რაიკომი პარტიულ საკითხებს. ხოლო პარტიული საკითხებისადმი ყურადღება ჯერ კიდევ სუსტია. შინაპარტიულ საკითხებს არა მარტო რაიკომების არამედ სამხარეო და საოლქო კომიტეტების მუშაობაშიც არ უჭირავთ დღემდის სათანადო ადგილი.

მუშაობის სწორად გარდაქმნა პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე—ეს იმას ნიშნავს, რომ განამტკიცო პარტიული აპარატი, განამტკიცო ისე, რომ მას, როგორც საათის მექანიზმს, შეეძლოს სიგნალის მიცემა თვითეული ხრაშნის დეფექტების შესახებ, შეეძლოს სწრაფად და გადაჭრით გამოეხმაუროს ყველა არანორმალობას, რომლებსაც ადგილი აქვს ძირეული ორგანოების მუშაობაში. სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ აქედან გამომდინარეობს პარტიული აპარატის გაბერვის საჭიროება. პირიქით, საჭიროა შევქმნათ აპარატი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებისაგან, დავრაზმოთ ამ აპარატის, განსაკუთრებით რაიკომების, გარშემო მტკიცე კადრი აქტივისტებისა, რომლებიც იმუშავებენ პარტიულ აპარატში საზოგადოებრივ-პარტიული დატვირთვის წესით. კარგად მომუშავე პარტიული აპარატი უნდა დაეყრდნოს ფართო საზოგადოებრიობას.

პარტიული მუშაობის საკითხები ჩვენ ჯერ კიდევ არ აგვიყვანია იმ მოთხოვნების დონემდე, რომლებსაც პარტიის მე-17 ყრილობა გვიყენებს. ჩვენში ჯერ კიდევ ხშირად იჩენენ თავს პარტიული ხელმძღვანელობის ძველი, დრომოჭმული ტრადიციები, გამოიკვლევენ რაიონულ ორგანიზაციას „საერთოდ", ასტეხენ ხმაურს, შექმნიან კომისიებს, ბრიგადებს, დააგროვებენ უამრავ მასალას, ხოლო ამავე დროს ცხოვრება მიდის ამ გამომკვლევთა გვერდის ავლით, და საბოლოო ანგარიშში ისინი მოვლენებს კუდში მისჩანჩალებენ.

სისტემატიური დაგვიანება —პარტიული მუშაობის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია. ხშირად რაიკომები ყურადღებას არ აქცევენ სერიოზულ სიგნალებს, ხოლო შემდეგ, როცა გარღვევა უკვე გამომჟღავნებულია, გამოაქვთ დაგვიანებული გადაწყვეტილებანი. და შეცდომების გამოსწორებას თან სდევს ადამიანთა საგრძნობი რიცხვის დაკარგვა და აპარატის მუშაობის [illegible].

პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებას საქალაქო და სარაიონო კომიტეტებში განყოფილებათა ლიკვიდაციის და მათთან მოსიარულე ინსტრუქტორთა ინსტიტუტის შექმნის შესახებ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაო ყურადღება ექცევა ინსტრუქტორთა შემადგენლობის შერჩევას. ინსტრუქტორების შერჩევას ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს. მათ წინანდებურად უყურებენ, როგორც დასაწინაურებელ რეზერვს, არ წარმოებს სისტემატიური მუშაობა ინსტრუქტორებთან. შეუძლებელია პარტიულ-ორგანიზაციული და შინაპარტიული მუშაობის სწორად წარმოება ისე, თუ არ გვეყოლა კარგად შერჩეული და ზუსტად მომუშავე საინსტრუქტორო აპარატი.

შინაპარტიული მუშაობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების აღრიცხვას. ამას წინათ მთელ რიგ ორგანიზაციებში აღმოჩენილი იქნა პარტიული დოკუმენტების გაფორმებისა და შენახვისადმი აღმაშფოთებელი დამოკიდებულების ფაქტები. აღმოჩენილ იქნა მრავალი „მკვდარი სულები", და, პირიქით, ბევრი კომუნისტი არ იყო აყვანილი პარტიულ აღრიცხვაზე.

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი ამბობდა, რომ ჩვენ ხშირად სრულიად არა დამაკმაყოფილებელ ყურადღებას ვაქცევთ ცოცხალ ადამიანს კომუნისტს. ზოგჯერ ჩვენ ვხვდებით პარტიის წევრებისადმი დაუშვებელ არა გულისხმიერ დამოკიდებულებას, საკმარისი იქნება, მაგალითად, დავსვათ ასეთი კითხვა: როგორ წარმოებს რაიკომებში ცალკეული კომუნისტების მიერ ჩადენილი დანაშაულის განხილვა, ვის და რისთვის რიცხავენ პარტიიდან, თავის დროზე არჩევენ თუ არა საქმეებს სასჯელის დადების შესახებ,— და ჩვენ ცალკეული პარტიული კომიტეტების მუშაობაში დავინახავთ უამრავ დეფექტს და ბიუროკრატიზმის ელემენტებსაც კი. საქმეების გარჩევა ხშირად ჭიანურდება, ბრალდებანი მუდამ როდია საკმაოდ დასაბუთებული. ზოგჯერ, ავადმყოფურ მოვლენათა ღრმა ანალიზის და კომუნისტების აღზრდის ნაცვლად, გატაცებული არიან მკაცრი სასჯელის დადებით. ეს მოწმობს სხვა არაფერს, თუ არა ადმინისტრირებას შინაპარტიულ მუშაობაში.

უკანასკნელი საკითხი—პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარების შესახებ. ძალიან ხშირად ჩვენ ვხვდებით ისეთ „კაზუსებს", როცა ერთი და იმავე რაიონის შიგნით პირველადი ორგანიზაციების კარგი გამოცდილობა გამოუყენებელი რჩება. ისიც კი ხდება, რომ ერთი საწარმოს შიგნით პარტიული ჯგუფების კარგი გამოცდილება სათანადოდ არ ვრცელდება. ბევრ გაზეთს პირდაპირ დაეკარგა პარტიული მშენებლობის საკითხების ცოცხლად გაშუქების გემოვნება.

ჩვენ საკმაოდ არ ვახდენთ კარგი, ინიციატივიანი პარტიულ მუშაკების პოპულარიზაციას. მაგალითად, რატომ არ უნდა დავანახვოთ მთელს საბჭოთა კავშირს საუკეთესო ინსტრუქტორის, საუკეთესო საამქრო ან ჯგუფორგანიზატორის მუშაობა? თვითეულ მხარეს თვითეულ ოლქს აქვს დადებითი გამოცდილება, ჰყავს საუცხოვო პარტმუშაკები, საჭიროა გამოვიყვანოთ ეს ადამიანები ფართო ასპარეზზე, გავაცნოთ ისინი ფართო მასებს და მათი გამოცდილების მიხედვით ვუჩვენოთ, თუ როგორი უნდა მუშაობა.

◆

სანიმუშოდ მოვაწყოთ ინჟენერ-ტექნიკოსთა გადამზადება

პირველი ხუთწლედის დიადმა მიღწევებმა და მისგან წარმოშობილმა გიგანტებმა პარტიის და ხელისუფლების წინაშე მთელის სიმწვავით დასვეს საკითხი ტექნიკის დაუფლების შესახებ. ეს საკითხი ერთი მთავარ საკითხთაგანია მე-2 ხუთწლედის ამოცანათა შორის. ამის პრაქტიკულ განსახორციელებლად მძიმე მრეწველობის ხაზით, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, საბჭოთა კავშირის საწარმოო რაიონებში ჩამოყალიბდა ინსტიტუტები და სასწავლო საკურსო კომბინატები; მათ შორის ჩამოყალიბდა ტფილისის სასწ. საკურსო კომბინატიც, რომელიც ამჟამად გარდაქმნილია ინჟ.-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლების ა.-კ. ინსტიტუტად და იმყოფება საქ. მძიმე მრეწველობის კომისარიატის სასწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ამ ინსტიტუტების და კომბინატების მთავარ ამოცანას წარმოადგენს საკავშირო მნიშვნელობის მძიმე მრეწველობის წარმოება-დაწესებულებების ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალის (ინჟენერები, ტექნიკოსები, ბრიგადის ხელმძღვანელები, ოსტატები, ათისთავები და სხვ.):

ა) კვალიფიკაციის ამაღლება მათთვის მინდობილ საამქროების და დაზგების ათვისების მიზნით;

ბ) გადამზადება იმ ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალისა, რომლებიც მუშაობენ არა თავიანთი სპეციალობის მიხედვით; მათთვის ტექნიკური ცოდნის მიწოდება იმ დარგში, რომელშიც მათ უხდებათ მუშაობა, და

გ) მომზადება იმ დარგის ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალისა, რომელშიაც დიდ ნაკლებობას განიცდით.

გასული წლის მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ აღნიშნული ინსტიტუტები და კომბინატები ასცდენ თავიანთ ძირითად ამოცანას და გადაიქცენ ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებლებად და ტექნიკუმებად. ისინი როგორ ჩვეულებრივი სტაციონალური ინსტიტუტები და ტექნიკუმები ეწეოდენ ინჟენრების და ტექნიკოსების მომზადებას, ისიც დაბალი ხარისხით, რადგან მათ არ ჰქონდათ შესაფერი პირობები: ლაბორატორიები, კაბინეტები, სასწავლო სახელოსნოები და სხვა. მათი ძირითადი ამოცანა, ტექნიკის დაუფლების მიზნით კვალიფიკაციის ამაღლება, გადაიქცა მეორეხარისხოვან საკითხად. ამ არანორმალობას ხაზი გაუსვა დირექტორების საკავშირო ყრილობამ და მომზადება, როგორც სისტემა, ამოიღო აღნიშნული ინსტიტუტების და კომბინატების სანომენკლატურო სიიდან. ინსტიტუტების მთავარ ამოცანად ყრილობამ დასახა ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც საუკეთესო მეთოდი ტექნიკის ათვისებისა.

გადავხედოთ გასულ პერიოდს, თუ რა მოგვცა ან რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა ამ ინსტიტუტებს კერძოთ ა.-კავკასიაში. უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრეს ნაწილს ინსტიტუტებისას და კერძოთ ჩვენს ინსტიტუტს წარმოება - დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის იმის მტკიცება უხდებოდა, რომ ის „კუსტარული" ხერხი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისა, რომელიც დღემდე არსებობდა, უვარგისია და უარყოფილია პარტიის და ხელისუფლების მიერ.

ადვილი შესამჩნევია ის დიდი უპირატესობა ამ ახალი სისტემის კადრების მომზადებისა იმასთან შედარებით, როდესაც წარმოებები თვითონ უძღვებოდენ ამ საქმეს. დაიწყებოდა წარმოებაში მუშაობა, ჩამოყალიბდებოდა ჯგუფები, შეუდგებოდენ მეცადინეობას (უგეგმოთ და უპროგრამოთ ან წარმოების რომელიმე სპეციალისტის, არა პედაგოგის მიერ შედგენილი გეგმით, რომელიც არსად არ ირჩეოდა და არ მტკიცდებოდა), მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ჯგუფების კვალიც აღარსად ჩანდა. რაც შეეხება ხარისხს, აქ ლაპარაკიც ზედმეტია.

რა იყო ასეთი უსისტემო მუშაობის შედეგი? ჯერ ერთი ის, რომ სახელმწიფო თანხები ყოველგვარი ნაყოფის გარეშე იხარჯებოდა და, მეორეც, იშლებოდა წარმოების კვალიფიციური მუშა-ხელით უზრუნველყოფის საქმე. ახალი დირექტივების მიხედვით კი ეს სისტემა კადრების მომზადებისა დაყენებულია მკაცრი კონტროლის ქვეშ, როგორც ჩვეულებრივ სტაციონალურ სასწავლებლებში, და უშუალო ხელმძღვანელობა ამ სისტემაზე გადაცემული აქვს საქ. მძიმე მრეწველობის კომისარიატის სასწავლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს, რომელიც ამუშავებს ტიპიურ სასწავლო გეგმებს, სწავლების მეთოდებს, პროგრამებს და სხვ. მოსკოვის და ლენინგრადის გამოჩენილი აკადემიკოსების და პროფესორების მონაწილეობით.

საწარმოო კადრების მომზადების ასეთმა რადიკალურმა გარდატეხამ, მუშაობის გარდაქმნამ და ამით საუკეთესო გზის დასახვამ ტექნიკის დაუფლებისათვის საუკეთესო ნაყოფი გამოიღო ზოგიერთ რაიონში (ჭიათურა, ქუთაისი, კაფანი და ალავერდი), რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას ამ დარგში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ტექნიკური კადრების დიდი დანაკლისი გვაქვს ზოგიერთ რაიონში. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ტყვარჩელისა და ტყიბულის რაიონები. მიუხედავად იმისა, რომ ა.-კ. ინსტიტუტის პასუხისმგებელი წარმომადგენელი გასული წლის აგვისტოში იყო ტყვარჩელში ფილიალის ჩამოსაყალიბებლად ადგილობრივ ორგანიზაციების წინააღმდეგობის გამო მაშინ ეს არ მოხერხდა. უკანასკნელად ფილიალი მაინც ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელიც ენერგიულად იბრძვის ამ ახალი საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის: ის მხოლოდ მაშინ შესძლებს ამას, თუ მას გვერდში ამოუდგება თვით წარმოების ადმინისტრაცია. ტყიბულის რაიონში ფილიალი ჩამოყალიბდა, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ იქ საკმაო თანხები დაიხარჯა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება დონბასისათვის კადრების მომზადების და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტყვარჩელის და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები უფრო უზრუნველყოფილია კადრებით და ამ დადგენილების გატარება ამ წარმოებებში საჭირო არ არის.

ზოგიერთ რაიონში მუშაობის არა სათანადო სიმაღლეზე დაყენებით აიხსნება ის, რომ ფილიალში კადრები ხშირად იცვლებიან. ადგილობრივ ორგანიზაციებს კარგი მუშაკები გადაყავთ სხვა სამუშაოზე და ისიც ინსტიტუტის დაუკითხავად; ხშირად მუშაკის მიმართ ვერ იჩენენ შესაფერის მზრუნველობას და სხვ. კასპის ქარხნის ფილიალს ორჯერ წაართვეს საუკეთესო ხელმძღვანელი, ორიც ინსტიტუტმა მოხსნა, როგორც შეუფერებელი მუშაკი.

ტყიბულის ფილიალში გასული წლის სექტემბრიდან გამოიცვალა სამი გამგე. ორი როგორც კარგი მუშაკები ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სხვა სამუშაოზე გადაიყვანა, ერთი კი ინსტიტუტმა მოხსნა როგორც სუსტი მუშაკი.

ჭიათურაში ერთი წლის განმავლობაში გამოიცვალა 6 გამგე.

ასეთ პირობებში ძნელია მუშაობა და შედეგსაც მაინც და მაინც სასურველს ვერ მივიღებთ; საჭიროა ამას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტმა ვერ შესძლო რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოო კადრებისათვის საჭირო მომსახურეობის გაწევა რადგან ამ ხაზით ცენტრალური დაფინანსირება არ არის, თვით წარმოებებმა უნდა გამონახონ ეს თანხები და ჯამაგირების ფონდის სამნახევარი პროცენტი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის, გადასცენ ინსტიტუტს. მაგრამ ჯერჯერობით ინსტიტუტმა ვერ მიაღწია ამას, რადგან ქარხნების დირექციამ ვერ გაუწია სათანადო თანაგრძნობა და ვერც მძიმე მრეწველობის კომისარიატმა მოაწესრიგა ეს საქმე. ყველა ამის გამო საქმე დიდად ბრკოლდება.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ტექნიკის დაუფლების მიზნით ინჟენერ-ტექნიკოსთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმე დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს, და ინსტიტუტის გავლილი პერიოდის მუშაობამაც დაგვანახა, რომ ის ვერ შესძლებს ამ დიადი საქმის სათანადო საფეხურზე დაყენებას, თუ ამაში სასწრაფოთ არ ჩაერია სადირექტივო ორგანოები.

ინჟ. შ. ჭიჭინაძე.

* * *

თამბაქოს დამზადების ოქტომბრის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

ლაგოდეხი

ლაგოდეხის რაიონმა 30 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს ჩააბარა 2.767 ცენტნერი თამბაქო, რაც თვიური გეგმის 155 პროცენტს შეადგენს.

კოლმეურნეობებმა ოქტომბრის გეგმა შეასრულეს 104 პროცენტით, ერთპიროვნულმა მეურნეობებმა —138 პროც. კულაკურ-შეძლებულმა მეურნეობებმა მტკიცე დავალების 124 პროც.

ნაადრევ დამზადებასთან ერთად 30 ოქტომბრისათვის რაიონმა სახელმწიფოს ჩააბარა სულ 7.505 ცენტნ. ანუ გეგმის 115 პროცენტი.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი პ. აზარაშვილი

სიღნაღი

სიღნაღი, 31 ოქტომბერი. (საკ. კორ.). 28 ოქტომბრისათვის სიღნაღის რაიონმა თამბაქოს ძირითადი დამზადების გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებულ 1100 ცენტნერის ნაცვლად დამზადებულია 1155,1 ცენტნერი.

სიღნაღის რაიონმა 29 ოქტომბრისათვის პურის შესყიდვის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა.

პურის შესყიდვა გრძელდება.

ი. ჭოჭუა.

მეტი მზრუნველობა სტუდენტობისათვის

(ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი)

ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი ჩაება „კომსომოლსკაია პრავდას" მიერ გამოცხადებულ უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში, რის შედეგადაც მან ა.-კ. უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ინსტიტუტმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწია წარმატებებს სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში. 1933—34 წლის სასწავლო გეგმები და პროგრამები მთლიანად იქნა შესრულებული; სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო ყველა ჯგუფი; ინდივიდუალურ შეჯიბრებაში — სტუდენტთა 98 პროც. გეგმით უნდა გამოშვებულიყო 492 სპეციალისტი, გამოშვებულია 448.

წელს პირველ კურსზე მიღებული იქნა 400 სტუდენტი. 1 ივლისისათვის სასწავლო ცხრილი უკვე შედგენილი იყო; შერჩეული იყო პედაგოგთა შემადგენლობაც, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქიმიურ და სამთო ფაკულტეტებზე პროგრამები დღესაც არაა დაყვანილი სტუდენტებამდე (ჯგ. 86, 87, 90, 91, 58 და სხვ.).

ადგილი აქვს ლექციების სისტემატიურ გაცდენებს. უმიზეზოდ გაცდენილია სექტემბრის თვეში სტუდენტების მიერ 3500 საათი, ლექტორთა მიერ 300 საათი.

ინსტიტუტის პროფესიული ორგანიზაციების უყურადღებობით მიმდინარე სასწავლო წელს მთელ რიგ ჯგუფებში არ გაშლილა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, არ ხდება უკვე დადებული ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებაც.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ნოვოჩერკასკის ინსტიტუტის შესახებ დამუშავდა ყველა ფაკულტეტის ღია კრებებზე სადაც გამომჟღავნდა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ინსტიტუტის მუშაობას ახასიათებენ. ეს ნაკლოვანებები უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს. ინსტიტუტში ამჟამად ირიცხება 332 დიპლომანტი; ამათში 43 არა აქვთ ჩაბარებული 3—4 საგანი, 62, 63 და 64 ჯგუფის სტუდენტებს, რომლებმაც თეორიული მუშაობა დაამთავრეს, დღესაც არ აქვთ მიცემული სადიპლომო თემები; ისინი კი, ვისაც ეს თემა მიეცა, სამსახურს შეუდგენ და დიპლომის დამუშავებას არც კი აწარმოებენ. დიპლომანტების დიდი ნაწილი არაა უზრუნველყოფილი საჭირო ქართული ტექნიკური ლიტერატურით, მათ არა აქვთ სახაზავი ქაღალდები და სხვ. ყოველივე ეს ჩაშლის წინაშე აყენებს კადრების მომზადების გეგმის შესრულებას, რაზედაც დირექციამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს.

ინსტიტუტი განიცდის აუდიტორიების ნაკლებობას, რის გამოც ადგილი აქვს ლექციების გაცდენებს; სათანადო ბინების უქონლობა აფერხებს აგრეთვე ლაბორატორიების მუშაობას. მაგ., უსაფრთხოების ტექნიკის ლაბორატორიის ყველა ხელსაწყო იარაღი მიღებულია, მაგრამ ბინის უქონლობის გამო, იგი დღესაც არაა გამოყენებული. არა აქვთ საჭირო ხელსაწყოები თვისებითი, ოდენობითი და მაღალ წნევის ლაბორატორიებს.

სტუდენტთა ქალაქის პირველი და მეორე კორპუსი დაკავებული აქვთ ინდუსტრიალურ ინსტიტუტის სტუდენტებს. ამ კორპუსებში მოთავსებულია 600 სტუდენტი, მაგრამ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კიდევ 100 სტუდენტისათვის ბინის გამოძებნა. ინსტიტუტს სტუდენტთა ქალაქის დირექციაზე გადარიცხული აქვს 78.000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს საცხოვრებლების კულტურულად მოწყობას, მაგრამ ეს თანხა სტუდენტთა ქალაქის მართველობას არ გამოუყენებია. ინსტიტუტის კორპუსებში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი. დარაჯებს ცოცხი არა აქვთ, ოთახებში უსუფთაობაა, არაა საკმარისი რაოდენობის პირსაბანები, არ ხდება რეგულიარულად წყლის მიწოდება, არაა გახსნილი საპარიკმახერო, სამრეცხაო, სახელოსნო, ცხელ წყალს სტუდენტებს არ აწვდიან, არ სწარმოებს კულტურულსაყოფაცხოვრებო საკითხების დამუშავება სტუდენტთა შორის.

ასეთივე მდგომარეობაა არსენალის გორაზე მოთავსებულ საერთო საცხოვრებელში. დირექციამ სტუდენტთა ქალაქის დირექციას სტუდენტებისათვის გადაუხადა 4 თვის ბინის ქირა, და 1935 წლის სტუდენტთა მატერიალურ-კულტურული პირობების გასაუმჯობესებლად, გადასდო 40 ათასი მანეთი.

ინსტიტუტმა საგარეჯოში მოაწყო მეურნეობა, რაზედაც დღემდე დაიხარჯა 229.000 მანეთი. ამ მეურნეობიდან ინსტიტუტი მიიღებს ბოსტნეულს, რძის პროდუქტებს, ხორცს და სხვა.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია სტუდენტთა კვების საქმე; არის მოწყობილი 2 სადილო, რომლებიც ამზადებენ ცუდი ხარისხის სადილებს; ხორციან სადილს კვირაში ერთხელ თუ ნახავთ. სასადილოში შექმნილია უსუფთაობა; არაა საკმაო რაოდენობით ინვენტარი.

სტიპენდიების გაცემა ჯერ კიდევ არაა მთლიანად მოწესრიგებული მაგ., სტიპენდიების გაცემის დროს ადგილი აქვს უწესრიგობას; არ ხდება სტიპენდიების გაცემა ფაკულტეტის და ჯგუფების მიხედვით.

ქიმიური ფაკულტეტის გამგის მოადგილე ამხ. ზაალიშვილი თვითნებურად მოქმედებს. მან № 52 ჯგუფი თვითნებურად გადააკეთა ორგანიული, ძირითად ქიმიურ სპეციალობად, მიუხედავად იმისა, რომ ზაალიშვილს არც კი ჰქონია ამ საკითხზე სანქცია დირექციიდან. ეს ნაკლოვანება გამომჟღავნდა. დირექციის მიერ შეცდომა გამოსწორებულ იქნა. იმავე ზაალიშვილმა ჯგუფი № 91-დან (შავი მეტალურგიის სპეციალობის) გადარიცხა ყველა ქალები № 90 ჯგუფში (ელექტრო-მეტალურგიის სპეციალობაზე) იმ მოტივით, თითქოს შავი მეტალურგიის დარგში ქალთა გამოყენება შეუძლებელი იყოს. ამ საკითხზე ეცნობა სასწავლო ნაწილს, რომელსაც ამ მხრივ დღემდე არავითარი ზომები არ მიუღია.

საჭიროა ინსტიტუტის დირექციამ, პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა იბრძოლონ სტუდენტთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში არსებულ ნაკლოვანებათა სავსებით აღმოსაფხვრელად.

ა. ბერუჩევი

* * *

მოწინავე ბრიგადირი დ. ჭიჭინაძე

საამქროებში ხმაურია გუგუნებენ მანქანები. ჩამწკრივებულ ღუმელებში ჩაკეტილ რკინებს ცეცხლის ენები შემოხვევია. ღუმელიდან წამდაუწუმ ისროვიან რკინის გავარვარებულ ნაჭრებს. ცეცხლისაგან გაწითლებულ რკინას თავი უკრეს „კომუნისტის" სახელობის საყალიბო დაზგაში. ეს უზარმაზარი რკინის ნაჭერი მოლქვასავით დაძვრება აქეთ იქით ის თანდათან წვრილდება, ბრტყელდება, გრძელდება. ერთი წუთიც და ნათალი ქვით დაფენილ იატაკზე იშხლართებიან გველივით დაკლაკნილი რკინის წითელი ლენტები, რომელთაც მუშები სტაცებენ მარწუხებს, წამსვე ასწორებენ მათ იქვე დაზგაზე და... რკინა უკვე მზად არის...

აი, სწორედ ამ საყალიბო მანქანაზე მუშაობს ის 40 კაცისაგან შემდგარი მეყალიბეთა ბრიგადა, რომელსაც ამხ. პეტრე ფავარენკო ხელმძღვანელობს და რომელიც თვიურად ამუშავებს 45—50 ტონა რკინას (გეგმას ასრულებს 120—125 პროცენტით). ბრიგადამ საბჭოების მე-7 ყრილობასთან დაკავშირებით აიღო ვალდებულება, რომ წლიურ გეგმას შეასრულებს 20 დეკემბრისათვის.

— დაჰკარი—ისმის ფიცხელი განკარგულება სახურავამდე ალმართული მანქანის იქითა მხრიდან და გაზ. „კომუნისტის" სახელობის ორტონიანი ორთქლის უროც სცემს ხის მორივით გადაჭრილ რკინაზე. უროს თითო დარტყმაზე მიწა ზანზარებს. ცეცხლის ნაპერწკლები იფანტებიან, დამკვრელები იბრძვიან ცხელ რკინას, იმორჩილებენ მას, ღუნავენ, ტკეცენ და დამზადებულ ახალ რკინას აბარებენ მიმღებ ოსტატს...

სამჭედლო საამქროში, ცეცხლის უჩვეულო სინათლეა. მჭედლები იბრძვიან ორთქლმავლების ნაწილების დამზადებისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

— დასცხე!—ისევ გაისმა ხმა „კომუნისტის" სახელობის დამკვრელ მჭედლების ბრიგადის უფროსის დავით ჭიჭინაძისა, რომელსაც ხელები სალტესავით შემოუჭერია მარწუხის გრძელ ტარზე და მარწუხის პირში გამომწყვდეულ გავარვარებულ ვებერთელა რკინის ნაჭერს ასწორებს ორტონიან უროს ქვეშ გრდემლზე...

დავითის სიტყვა და განკარგულება კანონია ბრიგადაში, ის აუცილებლად ყველაზე ადრე უნდა ჩაება ყოველ ახალ საქმეში. იგი პირველი ჩაება სტალინური გაწევის საწარმოო ლაშქრობაში და აიღო ვალდებულებები, რომლებიც მან პირნათლად შეასრულა.

დავით ჭიჭინაძე იხოტიველად ითვლება არა მარტო სამჭედლო საამქროში, არამედ მთელ ორთქლმავალთა სარემონტო ქარხანაში. მისმა ბრიგადამ უნდა გამოჭედოს ყველა ორთქლმავლის თუ ვაგონის მძიმე და რთული ნაწილები.

შეფობა, ბუქსირი და პრაქტიკული დახმარება—ეს მუდამ საწარმოო და საზოგადოებრივი მოვალეობაა დათიკოსათვის. მან ამას წინათ შეფობა აიღო კოსტა შინჯიკაშვილის ჩამორჩენილ ბრიგადაზე. შინჯიკაშვილის ბრიგადამ გარღვევა გამოასწორა ჭიჭინაძის პრაქტიკული დახმარებით... მის შემდეგ ბრიგადა გეგმების ყველა მაჩვენებლებს გადაჭარბებით ასრულებს.

ამხ. დათიკო იბრძვის სოცშეჯიბრება-დამკვრელობის კიდევ უფრო გაღრმავებისათვის და იყენებს ყველა იმ საშუალებას, რაც მიმართულია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ. ამიტომაა, რომ დათიკოს ბრიგადა ყოველთვიურად ამუშავებს 20—25 ტონა რკინეულს და გეგმებს ასრულებს 170—175 პროცენტით, ყოველგვარი წუნის გარეშე.

კომუნისტმა დავით ჭიჭინაძემ ნამდვილად დაიმსახურა დამკვრელის საპატიო სახელწოდება. ამისათვის ის შეიტანეს საქართველოს პროფსაბჭოს და გაზეთ „მუშის" მიერ გამოცემულ „წითელ წიგნში", რომელიც მიძღვნილი იყო მე-17 პარტყრილობისათვის. საკავშირო საგზაო საბკომმა ამხ. დათიკო დააჯილდოვა მაჯის საუკეთესო საათით. იგი ქარხნის სამკუთხედის მიერაც ხშირად ჯილდოვდება. ტექნიკის უკეთ ათვისებისათვის და ჯილდოვებულია „ზოტის" (ტექდაუფლების) ნიშნით. სტალინურ გაწევის ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარჩინებულთა შეკრებამ დათიკო დააჯილდოვა სტალინური გაწევის დამკვრელის ნიშნით.

მე-7 საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით მისმა ბრიგადამ იკისრა წლიური გეგმის შესრულება 20 დეკემბრისათვის.

დ. ჯღარკავა

აკ. გაწერელია

„ვეფხის ტყაოსნის" დაბოლოების საკითხისათვის *

„ფედერაციის" მიერ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი" ინტერესს იწვევს მწერლებსა და მეცნიერულ მუშაკებში. ასეთი ინტერესი სავსებით ბუნებრივია, რადგან რედაქტორის მიერ დადგენილი ტექსტი არ წარმოადგენს ადრინდელ გამოცემათა უბრალო გამეორებას.

მთავარია პოემის ტექსტის ხელახლად დადგენის ფაქტი, რომელსაც პოემის ამ გამოცემაში აქვს ადგილი. მკითხველს უპირველეს ყოვლისა აინტერესებს რუსთაველის პოემა და შემდეგ კი—დანართები.

რას წარმოადგენს დღემდე ცნობილი ტექსტი პოემისა? არსებობს თუ არა ჩამოყალიბებული ტიპი ვეფხის-ტყაოსნის? ამ კითხვას რუსთველის არა სპეციალისტი მკითხველი, სამწუხაროდ, პასუხს ვერ გასცემს. საქმე იმაშია, რომ ვეფხის-ტყაოსნის დღემდე ცნობილ გამოცემათა უმრავლესობა იმეორებს ვახტანგ მე-6 მიერ 1712 წელს ტფილისში დაბეჭდილ პოემის ტიპს. მაგრამ რას წარმოადგენს თვითონ ვახტანგ მე-6 მიერ გამოცემული „ვეფხის-ტყაოსანი"? არის თუ არა ის იდეალური რედაქტორული მუშაობის ნაყოფი?

ვეფხის-ტყაოსნის მკვლევართა მიერ გამორკვეულია, რომ ვახტანგის გამოცემა არ წარმოადგენს ასეთი რედაქტორული მუშაობის ნაყოფს და აი რატომ:

1. ვახტანგის გამოცემა წარმოადგენს შემოკლებულ რედაქციას პოემის ხელნაწერებთან შედარებით და

2. მიუხედავად იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსანი შეკვეცილია ბოლოში და მთელი რიგი თავებით, მასში მაინც დარჩენილია ნამსხვრევები ამ თავებიდან.

ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ვეფხის ტყაოსანს გამოუჩნდენ ეგრედწოდებული „ყალბისმქნელნი", რომელნიც აგრძელებდენ პოემას (ხვარაზმელთა ამბავი, პოემის გმირთა გარდაცვალებანი და სხვ.). ინტერპოლატორთა მუშაობა ამ სფეროში იჭვმიუტანელია. მაშასადამე ვახტანგ მე-6 ჰქონდა უფლება სათანადო ოპერაციის წარმოებისათვის.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ ოპერაციის დროს ვახტანგმა დაუშვა შეცდომა—მან ვერ მონახა მიჯნა გაგრძელებებსა და ნამდვილ ტექსტს შორის.

იწვევს თუ არა დავას ეს ფაქტი?

მივმართოთ თვითონ ვახტანგის რედაქციას.

ს. კაკაბაძე; კ. კეკელიძე და კ. ჭიჭინაძე ერთ საკითხში მაინც არიან შეთანხმებული, სახელდობრ: ვახტანგ მე-6 გამოცემაში პოემის დასასრული სრულიად არაბუნებრივ სურათს წარმოგვიდგენს: პოემის დაბოლოებაში ჩვენ ვხვდებით მთელს რიგს სტროფებისას, რომელნიც გამოკრეფილი არიან ხელნაწერი ტიპის პოემის ე. წ. „დანართებისაგან" და რომელნიც გაუგებარნი არიან ამ „დანართების" (ინდოხატაელთა ამბავის) სიუჟეტის გათვალისწინების გარეშე. (იხ. „ვეფხის-ტყაოსანი". ს. კაკაბაძის რედ. 1913, გვ. 21—22; კ. კეკელიძე — „რუსთველიანა", მნათობი, 1927, № 2, გვ. 185; ვეფხის-ტყაოსანი კ. ჭიჭინ. რედაქციით. 1934; წინასიტყვაობა).

ეს ფაქტი გამორკვეულია ხელნაწერებისა და ვახტანგის გამოცემის ურთიერთ შედარებით და მკვლევართა შორის ის ამჟამად დავას არ იწვევს (საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავს მხოლოდ პ. ინგოროყვა).

სადაო ხდება საკითხი მხოლოდ ვეფხის-ტყაოსნის დაბოლოების აღდგენისა: უნდა ვეძიოთ ის ვახტანგის რედაქციის შიგნით თუ ამ რედაქციის ფარგლებს გარედ, ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებში? მკვლევარებიც ამ საკითხში შორდებიან ერთმანეთს.

თუ იჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემულ ტექსტში ჩვენ გვაქვს ხელნაწერი პოემის დაბოლოებიდან ამოღებული სტროფები და თუ ისინი ორგანიულ კავშირში არ იმყოფებიან პოემის დაბოლოებასთან, მაშინ ასეთი კითხვა თავისთავად იხსნება: ვახტანგ მე-6 გამოცემას მკვლევარი ვერ დაეყრდნობა პოემის ნამდვილი დაბოლოების აღდგენისას. ორივე შემთხვევაში—ჩამოაშორებს მკვლევარი რუსთველის პოემას ვახტანგის გამოცემაში დარჩენილ „რუდიმენტებს" (ე. ი. ინდოხატაელთა ამბავიდან ამოკრეფილ სტროფებს და ეპილოგს) თუ შეავსებს მას იმ სახით, როგორც ამას ჭიჭინაძე ჩადის — მან უნდა მიმართოს ხელნაწერი ვეფხის—ტყაოსნის ტიპს. სხვა გზა არ არსებობს.

მაგრამ რას წარმოადგენს ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერი ტექსტის ტიპი?

პოემის ხელნაწერ ტექსტში ჩვეულებრივ ხედავენ დამატებათა რამდენიმე ფენას. ასეთი დამატებების პირველ ნაწილს თითქოს წარმოადგენს ამბავი ინდოხატაელთა (შეიცავს სამს თავს), მეორე ნაწილს წარმოადგენს მისი მიმდევნო ხვარაზმელთა ომი, მესამე ნაწილი შეიცავს პოემის გმირთა ანდერძებს და გარდაცვალებებს.

ჯერ რამდენიმე სიტყვა ინდოხატაელთა ამბავზე:

ჩვენ ზემოდ აღნიშნული გვქონდა, რომ ინდოხატაელთა ამბავიდან ვახტანგის რედაქციაში ვხვდებით ცალკეული სტროფები. მაშასადამე ვახტანგისეული დედანში სიუჟეტური რკალი მოითხოვს მისი მთლიანი სახით შეტანას პოემის ძირითად ტექსტში. მაშასადამე ვახტანგ მე-6 რედაქცია ვერ გამოდგება ინდოხატაელთა ამბავის პოემიდან ჩამოსაშორებლად თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით. პირიქით — ეს თვალსაზრისი მოითხოვს პოემიდან მოკვეცილ ამბავის სრულს უფლებებში აღდგენას.

ამას შემდეგ რჩება ორი გამოსავალი: პოემის ნამდვილ ტექსტსა და დანართებს შორის მიჯნა უნდა დაიდოს ან ინდოხატაელთა ამბავის წინ ან მის შემდეგ და აი რატომ:

ინდოხატაელთა ამბავს მოსდევს ხვარაზმელთა ომის აღწერა, რომელსაც დამოუკიდებელი შინაარსი და დასასრული აქვს, მაშასადამე აუცილებელი არ არის პოემისათვის—არც პოემის კონსტრუქციის თვალსაზრისით და არც ტექსტის ევოლუციიდან გამომდინარე დასკვნების მიხედვით. უეჭველია, აქ ჩვენ გვაქვს ყალბისმქნელის მუშაობის შედეგი, რასაც მთელი რიგი ფაქტებისა ადასტურებს. რაც შეეხება დამატებათა „მესამე" ფენას (ნამდვილად კი მეორე ფენას), საკითხი მათ შესახებ თავისთავად იხსნება: თუ ხვარაზმელთა ამბავი არ არის სავალდებულო პოემის ნამდვილი დაბოლოებისათვის, მით უფრო არ არის აუცილებელი მიმდევნო, ყალბი ნაწილების, რუსთაველისადმი მიკუთვნება.

მაშასადამე ხვარაზმელთა ამბავისა და მიმდევნო „გაგრძელებების" პოემიდან ჩამოშორება აუცილებელია: ინდოხატაელთა ამბავსა და მიმდევნო ჩანართებს შორის გარკვეული ზღვარი ძევს. მაგრამ არსებობს თუ არა ასეთივე ზღვარი ინდოხატაელთა ამბავსა და პოემის წინა ნაწილებს შორის.

რომ ასეთი მიჯნის გავლება ძნელია, ამას ადასტურებს ვახტანგის ოპერაციის შედეგიც: ვახტანგისეულ დედანში დარჩა ნამსხვრევები „ინდოხატაელთა ამბავიდან".

მაგრამ ეს ფაქტი ჩვენ ხაზგასმით არ მოგვყავს: ვახტანგისეულ ცოდნას რუსთაველის პოემის დაბოლოების აღდგენისას კორექტივის როლი არ შეუძლია შეასრულოს. გამოსარკვევია მხოლოდ ერთი საკითხი: როგორ მიმართებაში არიან ურთიერთისადმი პოემის შინაგანი მოცულობა და ინდოხატაელთა ამბავი?

როგორც ცნობილია, ვახტანგისეულ რედაქციაში პოემის უკანასკნელ თავს ეწოდება „აქა ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან". ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებში, როგორც ამას ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემა ცხადყოფს, ეს თავი თავდება სტროფით:

> სამ თვე ვლეს. ღმერთსა მათებრი სხვა
> რამცა დაებადოხა!
> მოეგებოან; მტერობა ვერავინ დაიქა-
> დოხა!
> მინდორსა შინა სადილად გარდახდეს
> ფილილადთა,
> ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა
> სვამდეს, არ დოხა.

(იხ. გამოც. სტროფი 165).

ამ სტროფში მოცემულია პოემის სიუჟეტის გარკვეული მომენტი, რომელიც მოითხოვს შემდგომს გაშლას. მკითხველს ალბად ახსოვს პოემის სიუჟეტი ქაჯეთის ციხის აღებამდე (იხ. აღ. გამოცემის წინასიტყვაობა). ნესტანის განთავისუფლების შემდეგ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი დიდი ზეიმით წამოვლენ ჯერ ფრიდონთან, შემდეგ ტარიელის ქვაბში, საიდანაც ისინი გაემართებიან არაბეთისაკენ. ტარიელის შუამდგომლობით როსტევანთან მოხდება თინათინისა და ავთანდილის ქორწილი. ქორწილის შემდეგ მეგობრები ნესტანითურთ წავლენ ინდოეთში, ტარიელის სამშობლოში, რომელსაც ხატაელები შეესევიან (ის ხატაელები, რომელნიც ერთ დროს სასტიკად დაამარცხა ტარიელმა). მათ (ტარიელსა და მის მეგობრებს) თან ახლავთ ოთხმოცი ათასი კაცისაგან შემდგარი არაბთა ლაშქარი. დიდი მგზავრობის შემდეგ ისინი ჩამოხდებიან მინდორზე სასადილოდ („სადილად გარდაჰხდეს").

ხელნაწერ ვეფხისტყაოსნებში ამის შემდეგ მიდის ცალკე თავი „ტარიელისაგან ინდოეთ მეფის სიკუდილის ცნობა", რომელიც იწყება სტროფით:

> „ქედსა ერთსა გადმოადგა
> მეტად დიდი ქარავანი... და ა. შ.

(იხ. ს. კაკაბ., გამ. 1913. გვ. 208; კ. ჭიჭ., გვ. 253). ეს თავი სრულიად გამოტოვებულია ვახტანგისეულ რედაქციაში, ამბავის თხრობა, როგორც ვიცით, უნაკლოდ მიყვანილია არაბთა ლაშქრის მინდვრად დასხდომამდე, შემდეგ კი ეს ამბავი გაგრძელებულია ინდოხატაელთა ამბავის მესამე თავიდან („ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა") ამოღებული სტროფებით. უხეიროდ მიკერებული ნაწილი პოემის დაბოლოებისა იწყება ტაეპით: „ტარიელს და ცოლსა მისსა მისვლა მათი სწადოდი... პოემის ამ ადგილას სიუჟეტური ნაპრალი და მოტივაციის უქონლობა სავსებით ცხადი ხდება.

გავითვალისწინოთ ჯერ ხელნაწერებში დაცული პოემის დაბოლოების შინაარსი:

ინდოეთს მომავალთ წინ შემოეყრებათ შავებით მოსილ ვაჭრების ქარავანი. რაინდები გამოელაპარაკებიან ამ ვაჭრებს, რომელნიც არაბულ ენაზე უამბობენ ტარიელსა და მის მხლებლებს ინდოეთის გასაჭირს: ინდოეთს შესევიან ხატაელები და დიდი ომი ყოფილა ატეხილი. მერე ფარსადანი კი გარდაცვლილა.

რაინდები თავიანთი ლაშქრით საჩქაროდ გაეშურებიან ინდოეთისაკენ, დაამარცხებენ ხატაელთ და მიუახლოვდებიან მეფის სასახლეს, ქვრივი-დედოფალი (ნესტანის დედა) მიეგებება მათ. შემდეგ გაიმართება დიდი ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა.

ეს ეპიზოდი ხელნაწერ ვეფხის-ტყაოსანში გადმოცემულია ინდოხატაელთა ამბავის სახით, რომელიც სამს თავს შეიცავს და რომლისგანაც ამოკრეფილია ცალკეული სტროფები ვახტანგ მე-6. მისი რედაქციის მიხედვით პოემის დაბოლოება ასეთია:

ლაშქრის გზად სადილობის შემდეგ „ტარიელსა და ცოლსა მისსა მისვლა მათი სწადოდი" ე. ი. მათ მიიღეს ინდოეთის მმართველობა, ტარიელმა მიიღო გარდაცვლილ ფარსადან მეფის ტახტი. რაინდებმა ინდოეთში ზეიმით გაატარეს რამდენიმე დღე, რომლის შემდეგ ავთანდილი და ფრიდონი თავ-თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.

თუ ჩვენ მივიღებთ პოემის ასეთს დასასრულს, რომელსაც არც ერთი ხელნაწერი არ უჭერს მხარს და რომელიც პოემის დაბოლოებაში სიუჟეტურ კავშირს სრულიად არ შეიფერის, მაშინ გაუგებარი ხდება აზრი პოემის მთელი რიგი სტროფებისა (თავი რომ დავანებოთ კიდევაც იმ ფაქტს, რომ ეს სტროფები ამოკრეფილია ინდოხატაელთა ამბავიდან და ისიც ფრაგმენტულად).

მაგ. როგორ გავიგოთ სიტყვები:

> „სრული ინდონი ავთანდილს
> და ფრიდონს მწედ ჰხადოდიან" (კარიჭ., 1559)

თუ არაფერი ვიცით იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ტარიელსა და მის მეგობრებს გადახდათ ხატაელების წინააღმდეგ და საიდანაც ისინი გამარჯვებულნი გამოვიდნენ (მათ იხსნეს ინდოეთი „შევიწროებისაგან"). ყველაფერი ეს ისე ნათელია, რომ მკვლევარისათვის არ არის საჭირო მაინცდამაინც დიდი კრიტიკული ალღო.

და მართლაც: რატომ გადასხა რუსთაველმა თავისი გმირები მინდორზე სასადილოდ?—ვახტანგისეულ რედაქციაში, დაბოლოების ფრაგმენტულობის გამო, ეს ადგილი სრულიად გაუგებარია. ხელნაწერებში კი მიმდევნო, ახალ თავში აღწერილია ინდოეთიდან მომავალ ვაჭრებისა და არაბთა ლაშქრის მეთაურთა შეხვედრა. ვაჭრები მათ აცნობებენ ინდოეთის გაჭირვების ამბავს და ისინიც სასწრაფოდ გაეშურებიან ინდოეთის დასახსნელად.

კონსტ. ჭიჭინაძეს, ჩვენის აზრით გამორკვეული აქვს შემდეგი ფაქტი პოემის სიუჟეტიური კომპოზიციისა: პოემის უდავოდ მიჩნეულ ნაწილში წინასწარ არის ნაგულისხმევი ინდოხატაელთა ამბავის აუცილებლობა. ამაზე ბევრჯერ არის თქმული პოემაში (იხ. კ. ჭიჭ. წინასიტყ.); ინდოეთის შევიწროება მტრებისაგან იცის ნესტან-დარეჯანმაც, რომელიც ციხიდან სწერდა ტარიელს:

> „წადი ინდოეთს, მიმართე,
> არგე რა ჩემსა მშობელსა,
> მტერთაგან შეიწრებულსა,
> ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა"-ო.

ამ რიგად ინდოხატაელთა ამბავის სრული სახით აღდგენა აუცილებელი ხდება.

* * *

---

*) კამათის წესით. რედ.

კოლექტიური შრომის დღესასწაული

აგარა, 31 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს აგარის სამანქანო-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების ინიციატივით აგარის სადგურზე გაიხსნა სტალინისის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და კოლმეურნეთა მეორე კულტურულ-საყოფაცხოვრებო კონფერენცია.

დილიდანვე აგარის სადგურზე იწყეს დენა კოლმეურნეთა ურმებმა, მოვიდნენ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები რაიონის ყველა სოფლიდან, აგარის ამხ. ბერიას სახელობის შაქრის ქარხნის მუშები, მოწაფეთა კოლონები.

მიტინგი გახსნა აგარის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. კვირიკაძემ. მან გააცნო დამსწრეთ იმ კოლმეურნეობათა მიღწევები ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში, რომლებსაც მომსახურებას უწევს აგარის სამ.-სატრ. სადგური.

სამანქანო-სატრ. სადგურის დირექტორი ამხ. ლომთათიძე ვრცლად შეჩერდა იმაზე, თუ როგორ მუშაობდა სამ.-სატრ. სადგური და როგორ შეასრულეს კოლმეურნეობებმა სას.-სამ. გეგმები და თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

მიტინგზე დიდი სიტყვით გამოვიდა ამიერ-კავკასიის ცაკის და საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, რომელსაც კოლმეურნეები და აგარის ქარხნის მუშები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

თავის მხურვალე სიტყვაში, რომელიც არაერთხელ შეაწყვეტინეს მას ტაშით, ამხ. ფ. მახარაძემ მოიგონა, თუ როგორ ჩაეყარა საფუძველი ამ 6 წლის წინათ აგარის შაქრის ქარხანას და თუ როგორ ხდება ჩვენს თვალწინ ქართლის სოფლის გარდაქმნა და როგორ მტკიცდებიან კოლმეურნეობები.

ამხ. მახარაძე—მიესალმა გამოფენის მოწყობის იდეას და მოუწოდა ჩქარებული მუშაობა.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ აგარის ქარხნის დირექტორი ამხ. ნანეიშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ცხოვრებაშვილი, რაიონის საუკეთესო დამკვრელები-წარჩინებული ადამიანები—კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები.

საკოლმეურნეო მშენებლობის მიღწევათა გამოფენის მოწყობის ინიციატივას მიესალმენ საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები ს. ეული, ტიციან ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ლ. მეტრეველი და გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე ამხ. გ. მუშიშვილი.

ტ. ტაბიძემ და ს. ეულმა წაიკითხეს თავისი ლექსები, რითაც კოლმეურნეები მეტად ნასიამოვნები დარჩნენ.

მიესალმენ რა აგარის სამ.-სატრ. სადგურის გამოცდილებას, ბორჯომის და სხვა რაიონების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ჩაატარონ თავის რაიონებში ასეთივე კონფერენცია და მოაწყონ საკოლმეურნეო მიღწევათა გამოფენა.

გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტრაქტორები გრაფიკით, რომელზედაც აღნიშნულია გეგმების შესრულება და ამ მანქანებზე მომუშავე დამკვრელ ტრაქტორისტთა სახელები, კოლმეურნეთა მაგარი მუშა პირუტყვი, ჯიშიანი ცხვრები, ძროხები, ხარები, ღორები, ცხენები და ახალგაზრდა პირუტყვი.

შაქრის ქარხნის ლაბორატორიამ გამოფენაზე წარმოადგინა სანიმუშო სათესლე ფონდიდან შერჩეული მასალის ექსპონატები, აგრეთვე კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ბოსტნების პროდუქცია—12 კილოიანი კომბოსტო, ხახვი და სხვა ბოსტნეული. (ადს).

* * *

650 კილომეტრი ახალი გზა

ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნდა საქგზატრანსის უფროსი ამხ. გ. ქურდაძე, რომელიც გაწვეული იყო „ცუდორტრანსში" 1935 წლის საქართველოს საგზაო მშენებლობის საკონტროლო ციფრების დასაცავად.

ამხ. ქურდაძემ გვაცნობა, რომ გზატრანსის ცენტრალურმა სამმართველომ ჩვენს მიერ 1935 წლისათვის საგზაო მშენებლობაში დასახული ვარაუდი თითქმის უცვლელად დამტკიცა. მომავალ წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს ძირეულ გარდატეხას. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული გზების საექსპლოატაციო დარგს და მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

გადაწყვეტილია საექსპლოატაციო უბნების რიცხვი 1 იანვრისათვის არსებულ 15-დან გაიზარდოს 22-მდე. საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 14.434,9 ათასი მანეთის რაოდენობით (ნაცვლად 1934 წ. 6.339 ათასი მანეთისა). კაპიტალურ სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს 11521 ათასი მანეთი. ეს თანხა ითვალისწინებს: შავი ზღვის გზატკეცილის ჩრდილოეთ უბნის რეკონსტრუქციას, ზემო-სვანეთის გზის მშენებლობის გაგრძელებას და ყვირილის ხიდის დამთავრებას. გზების კაპიტალურ რემონტზე უნდა დაიხარჯოს 6216,3 ათასი მანეთი. აქედან: საქართველოს სამხ. გზატკეცილზე — 746 ათასი, ლენინაკანის გზაზე 345 ათასი, ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე 425 ათასი, სამხრეთ-ამიერ-კავკასიაზე — 435 ათასი, ტფილის-ბოგდანოვკისაზე — 365 ათასი, შავიზღვის გზატკეცილზე—571 ათასი და ზემო-სვანეთის გზაზე — 200 ათასი მანეთი.

ამასთან უნდა აიგოს 10 გარაჟი საექსპლოატაციო უბნებისათვის და საგზაო მექანიზმების სარემონტო სახელოსნო ტფილისში, რაზეც დაიხარჯება 107,5 ათასი მანეთი. გათვალისწინებულია სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობის ხაზით გზის რემონტიორებისათვის 16 და ქვეოსტატებისათვის 10 სახლის აგება, რაზეც დაიხარჯება 201.5 ათასი მანეთი. გადადებულია 2.200 ათასი მანეთი საგზაო მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტის შესაძენად. ეს თანხა ითვალისწინებს საქგზატრანსისათვის 20 მსუბუქი, 55 სატვირთო ავტომანქანის, 23 ტრაქტორის, ორი გრეიდერის, 10 სატრაქტორო ნიჩაბის, 16 ქვისსამტვრევი მანქანის. 5 ძრავის, 26 სატკეპნი მანქანის, 3 თოვლმწმენდის, 55 ბიტუმის ქვაბის, 4 ხელის გუდრონატორის, 60 ველოსიპედის, 2 ავტოგუდრონატორის, 4 პლენერის, 1 კომპრესორის და 4 ცენტროფუგებ საქაჩი მანქანის მიცემას. ამასთან საჭაპანო ტრანსპორტის შესაძენად საქგზატრანსს ეძლევა საკავშირო ბიუჯეტიდან 100 ათასი მანეთი. საკვლევო სამუშაოებზე გადადებულია 63,7 ათასი მანეთი. ტექნიკური საკვლევო სამუშაო წარმოებული იქნება სამხრეთ-ამ.-კავკასიის გზაზე და ეკონომიური — ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე ქუთაისი - ბაღდათი-ზეკარის უღელტეხილის მარშრუტით. გათვალისწინებულია ხიდის აგება მდ. ლიახვზე.

მუშების მომარაგებისათვის დამტკიცებულია 158 ათასი მანეთი.

გზათა ძირეულ ქსელის მშენებლობის ხაზით უნდა აშენდეს 650 კილომეტრი ახალი გზა და მიმდინარე რემონტი გაუკეთდეს 7917,5 კილომეტრს.

მომავალი წლისათვის საქგზატრანსი ღებულობს საგრძნობლად გადიდებულ კრედიტებს არსებულ გზათა ქსელის კაპიტალურ და მიმდინარე რემონტისა და ექსპლოატაციური მოვლა-შენახვისათვის, რაც, უბნების რიცხვის გაზრდასთან, სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზაციის გაძლიერებასთან და ხაზის მუშაკების საბინაო საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად ხელსაყრელ პირობებს შექმნის შრომის ნაყოფიერების 20 პროცენტით გაზრდისა და თვითღირებულების 15 პროცენტით შემცირებისათვის, როგორიც ვარაუდიც არის დასახული.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, არის მტკიცე საფუძველი ვიქონიოთ იმედი, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მიერ ზომების მიღებით 1935 წლისათვის შესაძლებელი გახდება დამატებითი თანხების მიღება საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზატკეცილების სარეკონსტრუქციო სამუშაოების გასაგრძელებლად.

— საკონტროლო ციფრების დაცვასთან ერთად, დასძინა ბოლოს ამხ. ქურდაძე, — ჩვენ ვცდილობდით მექანიზმებითა და მასალებით ჩვენი საგზაო მშენებლობის მომარაგების გაძლიერებას მე-4 კვარტალისათვის და კიდეც მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგს. ამ პერიოდში საქგზატრანსი მიიღებს 8 სატკეპნ მანქანას, 10 ქვისსამტვრევ მანქანას, სამანქანო მოწყობილობას საგზაო გუნდისთვის, დახერხილ ხე-ტყის მასალას 250 კუბ. მეტრის რაოდენობით, 100 კუბ. მეტრ მრგვალ ხე-ტყეს, 800 ტონა ცემენტს, 57 ტონა რკინას, 4 სატვირთო მანქანას, 1 მსუბუქ მანქანას და 700 ტონა ბიტუმს.

ყველა ეს მასალები მიღებული იქნება ნოემბრის დამლევამდე.

* * *

წერილები ადგილებიდან

ეს გლეხთა სახლია?

ამაოდ ეცდებიან კოლმეურნეები მშვიდად დაისვენონ ზუგდიდის გლეხთა სახლში. ვერც გაერთობიან აქ ისინი, ვერც რაიმე სასარგებლო ცოდნას მიიღებენ.

რატომ?

იმიტომ, რომ მოსაცდელი დარბაზის ფანჯრების მინები ჩალეწილია და ამავე მიზეზის გამო ქარი თავისუფლად უბერავს ოთახებშიაც.

იმიტომ, რომ გლეხთა სახლში სისუფთავე არაა დაცული.

კიდევ იმიტომ, რომ კულტურული მუშაობა ჩამკვდარია, კონსულტაციები არ წარმოებს, კოლმეურნეებს ჟურნალ-გაზეთებს არ უკითხავენ ხმა-მაღლა.

ყოველივე ამაში დამნაშავეა გლეხთა სახლის გამგე გ. დარასელია.

საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები, რათა გლეხთა სახლი პრიმიტიული „ღამის გასათევიდან" კეთილმოწყობილ და კულტურულ დაწესებულებად აქციონ.

დ. ჯალაღანია.

რაიფინგანმა ჩაშალა

(ყაზბეგი. საკ. კორესპონდენტისაგან)

მიმდინარე წლის ზაფხულში სოფ. ყაზბეგში დაიწყო ვეტპუნქტის მშენებლობა.

საქ. მიწსახკომმა ეს მშენებლობა დააფინანსა, მაგრამ ამ თანხიდან 7000 მანეთი რაიფინგანის გამგის ამხ. ხაბელაშვილის განკარგულებით ჩამოეწერა მიწგანს და დახარჯულ იქნა არადანიშნულებისამებრ. აღსანიშნავია, რომ სახ. ბანკის ყაზბეგის რაიგანყოფილებამ, მიუხედავად ვეტექიმის პროტესტისა, უყოყმანოდ შეასრულა რაიფინგანის ეს თვითნებური და უკანონო განკარგულება.

ამას მოყვა ის, რომ ვეტპუნქტის მშენებლობა მოუთავებელია, მშენებლობის თანხები გახარჯულია, ხოლო ფინგანი უკანონოდ გახარჯული თანხის ასანაზღაურებლად ფულს არ იძლევა.

მოვითხოვთ დამნაშავე პირთა დასჯას.

ან. შადური.

გამფლანგველი „ვერ შეიპყრეს"

1933 წლიდან ალაზნის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის პირველი უბნის მუშკოოპში ნოქრად მუშაობდა ლევან ბარამაშვილი. შარშანვე მან თავი გაანება იქ მუშაობას; საქმის გადაბარების დროს 5038 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა.

ბარამაშვილს ანგარიშები არ გაუსწორებია, ტფილისში გადმოვიდა და თავს არხეინად გრძნობდა.

მუშკოოპის გამგეობამ დროზე მიმართა მილიციას, მაგრამ ამაოდ. 26 კომ. სახელობის რაიპროკურორმა გასცა განკარგულება ბარამაშვილის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ მილიციამ ეს განკარგულება სისრულეში არ მოიყვანა.

საინტერესოა ვიკითხოთ, თუ როდემდე უნდა ითარეშოს საზოგადოებრივი ქონების გამფლანგველმა?

მოუწყობელი ბაზარი

ზუგდიდის ახლად გახსნილ საკოლმეურნეო ბაზარში ყველაფერი რიგზე არ არის. ფაქტები: სუსტად მიმდინარეობს სავაჭრო ფარდულებისა და დუქნების მშენებლობა, რაც ხელს უშლის საკოლმეურნეო ვაჭრობის წესიერად მოწყობის საქმეს.

ბაზარში გამეფებულია ანტისანიტარია, არ არის თვალსაჩინო ადგილებზე გაკრული ბაზრის წესები, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ქალაქის საბჭო და ბაზრის კომიტეტი ნაკლებად ზრუნავენ ბაზრის კეთილმოწყობისათვის, რაც დანაშაულს უდრის.

საჭიროა ბაზრის კეთილმოწყობისათვის გადამჭრელი ზომების მიღება.

დ. ჯალაღანია.

მუშათა საცხოვრებელი უბანი ტყვარჩელის ელექტროსადგურის მუშებისათვის.

კალინინის სახ. ქარხნის კოლექტივი ოქტომბრის რევოლუციის მე-17 წლისთავისათვის ამზადებს მთელ რიგ საჩუქრებს. გეგმის ზევით ქარხანა გამოუშვებს მარმარილოს საჭრელ დაზგას. ქარხანამ იკისრა აგრეთვე თოკის საგრეხი დაზგის ათვისება, ეზოს გამწვანება და სხვ.

სურათზე: მარმარილოს საჭრელი დაზგის აწყობა, რომელიც გამზადებული უნდა იქნეს ოქტომბრის მე-17 წლისთავისათვის.

მზადდება გემების წამყვანთა კადრები

ლენინგრადის საზღვაო ინსტიტუტი ამზადებს შორეული ცურვის კაპიტანთა კადრებს. საწარმოო პრაქტიკას კურსანტები გადიან შორეული ცურვის პერიოდში სამ ანძიან მოტორიან გემზე „ტოვარიშჩზე". სწავლა - ვარჯიშობას ამ ზაფხულზე პრაქტიკანტები ატარებდენ შავ-ზღვაზე, მათ ინახულეს ბათომის ნავთსადგური.

სურათზე: 1) პრაქტიკანტები სწავლობენ მიმართულების გამოზომვას კომპასის საშუალებით, 2) ვარჯიშობა ნავზე, 3) გემი „ტოვარიშჩი".

ხევსურული ჯიშის ძროხებმა ხოლმოგორული ჯიშის ბუღასთან გადაჯვარედინების შემდეგ მოგვცა საუკეთესო ნაყოფი. სურათზე წარმოდგენილია ასეთი გადაჯვარედინების შედეგად მიღებული ორი კვირის ხბოები მახარაძის სახ. კოლმეურნეობაში.

ამჟამად აღნიშნულ კოლმეურნეობაში კვლავ გრძელდება ცდები ჩვენებური ჯიშის ძროხების გასაუმჯობესებლად გიბრიდიზაციის წესით.

△ △ △ △ △

ბიბლიოგრაფია

ხ. ძიძაძე. ორგანიული ქიმია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მე-9 კლასისათვის, სახელგამი. 1934 წ.

სარეცენზიო წიგნში დადებით მხარეებთან ერთად ვხვდებით მთელ რიგ არასწორ დებულებებს. მე-27 გვერდზე ავტორი წერს: „ჰალოგენებთან ეთილენის რიგის ნახშირწყალბადები იძლევიან ზეთისებრ სითხეს, ამიტომ მათ ოლეფინები უწოდეს".

გამოდის, რომ ამ რიგის ნახშირწყალბადების თითქმის ყველა ჰალოიდ ნაწარმი ზეთის მზგავსია, რაც არაა სწორი. იოდიანი ეთილები კრისტალური ნივთიერებაა, რომლის ლღობის წერტილია 82°. ეთილენის რიგის ნახშირწყალბადებს ოლეფინებსაც უწოდებენ არა იმიტომ, რომ თითქოს მათი ყოველგვარი ჰალოიდნაწარმი ზეთის მზგავსი, იყოს არამედ იმიტომ, რომ ეთილენზე ქლორის მოქმედებით მიიღებს ზეთის მზგავსი ნივთიერება ქლორიანი ეთილენი. ამიტომ ეთილენს უწოდეს ზეთისმბადი გაზი.

ავტორი წერს: „კალიუმ პერმანგანატის —ღუნე უხსნარი ტუტე არეში ნატრიუმის კარბონატი ადვილად ჟანგავს ოლეფინებს, მხოლოდ თვით კალიუმის პერმანგანატი უფერულდება (გვ. 29)". ვერ გაიგებ რისი თქმა უნდა ამით ავტორს. ნატრიუმის კარბონატი არაა დამჟანგველი ნივთიერება. თუ ის ჟანგავს, კალიუმის პერმანგანატს რა აღფერულებს?

ავტორი 47 გვერდზე წერს: „სანათ არის შედგენილობაში შედის ბენზოლი, მეთანი, ეთილენი, აცეტილენი, ნაფტალინი", მაშინ, როდესაც ნაფტალინი სანათაირის შემადგენლობაში კი არა, არამედ ქვანახშირის კუპრის მესამე ფრაქციაში ე. წ. მძიმე ზეთში შედის. ავტორი ცდება, როდესაც მჟავეებზე ტუტის მოქმედებას გასაპნას უწოდებს. მე-78 გვერდზე წერია: „მჟავების სასაპნით მიიღება საპონი". მაგრამ ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის ნეიტრალიზაცია და არა გასაპნა. ისაპნებიან ცხიმები, ნიტრილები და არა მჟავეები.

ამავე გვერდზე ცხიმების ჰიდროგენიზაცია განხილულ წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ ზეთებს ხმარობენ საცხებ მასალად. როგორც ცნობილია, ნავთიდან მიღებული ზეთები იხმარება საცხებ მასალად. განა შეიძლება ამ ზეთების მოქცევა ცხიმებში? მცენარეულ ზეთებთან მხოლოდ მათ სახელი აქვთ საერთო. პირველია ნახშირწყალბადები, მეორე კი რთული ეთერები.

ასევე ცდება ავტორი, როცა ამბობს, რომ მარგარინს ქონიდან ან ჰიდროგენიზებული ცხიმიდან ამზადებენო. ქონს ადნობენ 25—30 გრადუსზე გაცივებით;—მას გლიცერიდები გამოეყოფა და დარჩება ცხიმი"-ო. თუ გლიცერიდი გამოეყოფა, ცხიმი როგორღა დარჩება, ცხიმიც ხომ გლიცერიდია? აქ ადვილი აქვს აშკარა შეუსაბამობას.

სახელმძღვანელო არც კორექტურული შეცდომებისაგანაა დაზღვეული; ნახშირწყალბადების მაგიერ წერია ნახშირბადები, რადიკალფენილის ნაცვლად ფენოლი და სხვ.

რედაქტორის და რეცენზენტების (ნ. ჯაფარიძე და ი. კოხტავა) მუშაობა აღნიშნულ წიგნის გამოცემის საქმეში არაა დამაკმაყოფილებელი. ზემოდ აღნიშნული შეცდომები უეჭველად გასწორებულ უნდა იქნას წიგნის შემდგომ გამოცემებში.

ქ. არეშიძე.

ახალგაზრდა მწერალთა თათბირი

ჟურნალ „ახალგაზრდა მწერლის" რედაქციამ მწერალთა სასახლეში ჩაატარა თავისი თანამშრომლების თათბირი.

ამხ. კ. ბობოხიძემ კრებას გააცნო ის ღონისძიებები, რომლის განხორციელებაც განზრახულია მომავალში ჟურნალის გაძახალისებისათვის.

ჟამდე ჩვენ გატაცებული ვიყავით რაოდენობრივ მაჩვენებლებით, უკვე გამოვამჟღავნეთ 30-მდე ახალგაზრდა მწერალი, მომავალ მუშაობაში კი უმთავრესი ყურადღება მიექცევა ნაწარმოების ხარისხს. ყოველი ახალი ლიტერატურული ნაწარმოები ამიერიდან გამოქვეყნდება საფუძვლიანი შერჩევის შემდეგ.

მომავალ მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურ ხასიათის წერილების ბეჭდვას, გამოჩენილ მწერლების შემოქმედებითი პრაქტიკის გაზიარებას და ჟურნალის ირგვლივ მკითხველთა ფართო მასების დარაზმვას.

მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. დოლიძემ, ნუკრიანმა, გიგიბერიამ, შამათავამ, გოგავამ, ეროსიამ, ძიძიგურმა, ჩხაიძემ, ფხაკაძემ და სხვ.

გადაწყდა ჟურნალთან ჩამოყალიბებულ იქნას ლიტერატურული წრე, სადაც სისტემატიურად გაარჩევენ ახალგაზრდა ავტორების ნაწერებს.

არჩეულ იქნა წრის ბიურო 7 კაცის შემადგენლობით, წრის თავმჯდომარედ დამტკიცდა ამხ. ზ. დოლიძე.

ახალი ასორტიმენტის საქონელი რაიონებს

ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით, ცეკავშირთან არსებულმა საქკოოპვაჭრობის კანტორამ დაავალა სარაიონთაშორისო ბაზებს საქონლის დიდი მარაგი გამოიტანონ გასაყიდათ ქალაქის კოოპერატივებსა და რაიმაღაზიებში.

სამტრედიის რაიონის ქალაქის კოოპერატივებსა და რაიმაღაზიაში გამოტანილი იქნება 53 ათასი მანეთის ახალი ასორტიმენტის საქონელი. აქედან 6 ათასი მანეთის სარეცხი საპონი, 22 ათასი მანეთის ბამბეული და დიდძალი შეკერილი ტანისამოსი, ფეხსაცმელები, კალოშები და სხვ.

სიღნაღის რაიონში გადაცემული იქნება 80 ათასი მანეთის საქონელი. გორის სარაიონთაშორისო ბაზა გაანაწილებს 144 ათას მანეთის საქონელს. ბათომის ბაზა ამ დღეებისათვის გადასცემს ოზურგეთის კოოპერატივს 500 წყვილ კალოშს, ერთნახევარ ტონა ნამცხვარს, 3 ტონა სარეცხ საპონს, 10 ათასი მანეთის ტრიკოტაჟს, 10 ათასი მანეთის გალანტერეას, 15 ათასი მანეთის შეკერილ ტანისამოსს. ოზურგეთისავე რაიმაღაზიას დღესასწაულის დღეებთან დაკავშირებით გადაეცემა მეოთხე კვარტალის საქონლის 70 პროცენტი.

ქუთაისის სარაიონთაშორისო ბაზა ამ დღეებისათვის ქალაქის კოოპერატივებს გადასცემს 200 ათასი მანეთის სხვადასხვა ახალი ასორტიმენტის საქონელს.

ახალი გამოგონება

მუშა-გამომგონებელთა ა.-კ. საზოგადოების საბჭოს თანამშრომელმა ამხ. ემელიანოვმა და გამომგონებელთა ექსპერიმენტალური სახელოსნოს გამგემ ამხ. კურდოვმა მოიწყეს ტრამვაის ვაგონების ახალი კონსტრუქციის ბუგელი, რომლის საშუალებითაც ელექტრო-დენი გადადის ტრამვაის ვაგონის მექანიზმებში და ამოძრავებს მას.

ძველი კონსტრუქციის ბუგელი, რომლითაც ამჟამად მუშაობენ ტრამვაის ვაგონები, არაეკონომიურია. ძველ ბუგელს თავზე აქვს ალუმინის ზოდი, რომელიც საჰაერო ელექტროხაზის მავთულზე სრიალისას ჩქარა ცვდება და ფუჭდება. ემელიანოვის და კურდოვის კონსტრუქციის ბუგელზე ალუმინის ზოდი შეცვლილია ალუმინისაგანვე გაკეთებული მბრუნავი ლილვით, რის გამო ალუმინის გაცვეთის პროცესი შემცირებულია და ბუგელიც უფრო დიდხანს მუშაობს.

ემელიანოვის და კურდოვის კონსტრუქციის ბუგელი მიღებულია გამოსაცდელად.

სურათზე: ახალი კონსტრუქციის ბუგელის ექსპერიმენტალური გამოცდა. გვერდზე — კონსტრუქტორი ამხ. კურდოვი.

საქ. პროფსაბჭოს დადგენილება

გამოსასვლელი დღის — ნოემბრის 6-ს ნოემბრის 9-ს გადატანის შესახებ

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირთა საბჭო ადგენს:

მშრომელ ფართო მასების სურვილისამებრ გამოსასვლელი დღე ნოემბრის 6 გადატანილი იქნეს ნოემბრის 9-ს.

აღნიშნული დადგენილება გავრცელდეს იმ საწარმოებსა და დაწესებულებებზე, რომელნიც იმყოფებიან 6-დღიან წყვეტილ კვირაზე.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. სტურუა**

პრეზიდიუმის წევრი, შრომის ინსპექციის ხელმძღვანელი **მიკირტიჩიანი**

1934 წ. 21 ოქტ.

ტრამვაის ახალი პარკი

ნავთლუღის სადგურთან კახეთის ქუჩაზე იწყობა ტრამვაის ახალი პარკი. პარკის შენობა უკვე აგებულია. პარკში მოეწყობა სანიმუშო სასადილო და კულტურული სათავსოები.

△ △ △ △ △ △

ფიზკულტურა და სპორტი

ნაკრები 1-ლი—ნაკრები მე-2

30 ოქტომბერი. ლენინის სახელობის სტადიონი დღეს საზეიმოდ გამოიყურება. დასუფთავებული, დროშებით და პლაკატებით მორთული, ის სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს.

ოთხი ათასამდე კაცი მოსულა ქალაქის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრის სანახავად. ინტერესს აძლიერებს ის გარემოება, რომ გუნდებში თავმოყრილია ტფილისის თითქმის ყველა საუკეთესო მოთამაშე, პირველ ნაკრებში უმთავრესად „მოხუცები", ხოლო მეორეში — ახალგაზრდობა.

მსაჯის ნიშნისთანავე მინდორზე გამორბიან წითელ ხალათიანები: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, პოდშივალოვი, აბაშიძე, ბელოვი, პანინი, ვაჩნაძე, მუშჩენკო, ასლამაზოვი, აფრიდონიძე.

ტფილისის საუკეთესო ფეხბურთელები (ზევიდან ქვევით): ა. დოროხოვი, კ. ყალიჩავა, შ. შავგულიძე

მათ უკან მოსდევენ მეორე ნაკრების მოთამაშეები ჭრელ მაიკებში: კასრაძე, ჰუმბურიძე, ჯორბენაძე, დვინიაშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, კირილოვი, ბოლოტინი, ჯეჯელავა, შ. ჩხატარაშვილი, ყალიჩავა, დ. რამიშვილი.

პირველ ნაკრებში რვა კაცი „დინამო"-დან არის, ორი — ტ. ს. ო. კავშირის გუნდიდან, ხოლო ერთი — ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტიდან.

მეორე ნაკრებში რვა კაცი ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდიდანაა, ერთი „დინამოდან", ხოლო ორი — ტ. ს. ო. კავშირიდან.

თამაში იწყება მეორე ნაკრების მძლავრი შეტევით. ერთხანს ბურთი სულ პირველი ნაკრების კარებთან ტრიალებს. შემდეგში მდგომარეობა თანდათან სწორდება და იერიშებს ანვითარებს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე.

მე-20 წუთზე მეორე ნაკრების მარჯვენა ინსაიდი გამოჩ. ჯეჯელავა მოხდენილად გაიტაცებს ბურთს. აი, ის გასცდა ჰავბეკების ხაზს და პირდაპირ შეხვდა მცველებს. აქ ყველაფერს სიმარდე, მოხერხება და ნერვების სიმტკიცე გადაწყვეტს. ჯეჯელავაც გარბის ბორთიანად, მას მხარდამხარ მისდევს შავგულიძე. დაწინაურდება ჯეჯელავა და საჯარიმო მოედნის მოახლოვებისთანავე მძლავრად ურტყამს კარებში, მაგრამ დოროხოვი იღებს მეტად ძნელ ბურთს.

მე-25 წუთზე ასევე ძლიერ „შუტს" გზავნის პირველი ნაკრების ბადესკენ მარცხენა გარემარბი დ. რამიშვილი, მაგრამ დოროხოვი ამასაც იჭერს.

არც პირველი ნაკრების მოთამაშეები იჩენენ პასიურობას. ტაიმის ბოლოს თამაში მეორე ნაკრების ჰიშკართან გადადის. მძლავრად ურტყამენ პანინი და ვაჩნაძე, მაგრამ კასრაძე ადვილად იჭერს მათ ბურთებს.

მეორე ტაიმში ინიციატივა კვლავ მეორე ნაკრების ხელშია. თამაში სულ უფრო და უფრო ცხოველდება და საინტერესო სახეს იღებს. შუა ტაიმში პანინი მოხერხებულად გაუსხლტება ჰუმბურიძეს, შურდულივით გაექანება გოლისკენ და კუთხური დარტყმით პირველ ბურთს მოაქცევს მეორე ნაკრების ბადეში.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ბურთი პირველი ნაკრების საჯარიმო მოედანზეა. რამიშვილი აწოდებს ბურთს ყალიჩავას, ეს უკანასკნელი ურტყამს გოლში, მაგრამ დოროხოვი ბურთს უკან აბრუნებს, ამ დროს მიუსწრებს შ. ჩხატარაშვილი და ლამაზი დარტყმით მარჯვენა კუთხეში აქვითებს ანგარიშს.

გუნდების შემდგომ ბრძოლას შედეგი აღარ მოყოლია და მატჩი დამთავრდა 1 : 1.

ამ დღეს ვირტუოზულად თამაშობდა გ. ჯეჯელავა, რომელსაც მაყურებლები ხშირად ტაშით აჯილდოვებდნენ.

შეჯიბრებას დაესწრნენ ამხ. ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი, გ. არუთინოვი, ტ. ლორთქიფანიძე, კუდრიავცევი, ა. კეკელია, ა. გეურქოვი, თ. ჟორსაველი, გ. თვალჭრელიძე.

△ △ △ △ △

სასამართლო

საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებელთა საქმე

(საქართველოს უზენაეს სასამართლოს 30 ოქტომბრის დილის და საღამოს სხდომები)

პროცესის უკანასკნელი ორი დღე მოუნდა თევზის ოპერაციების გამორკვევას. ტფილისის საბჭოს წერილობითი მოთხოვნით, თითქოს მისი საჭიროებისათვის, აზთევზის ტფილისის განყოფილების ყოფილმა გამგემ ბებუთოვმა ტფილისის მომარაგების განყოფილებას, კოოპერატიულ არტელ „სპარტაკს" და ბორჯომის წყლების სამმართველოს მისცა 9 ტონა თევზი. ეს თევზი გაიგზავნა კიევში, სადაც იგი გაიყიდა კილო 8 მანეთად, იმ დროს, როცა მისი გასაცემი ფასი უდრიდა 1 მანეთიდან 2 მან. 90 კაპიკამდე (კილო). გოგორიშვილის გამოანგარიშებით, ამ „ოპერაციამ" მათ მისცა 60 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი, რომელიც გაიყვეს მასში მონაწილეებმა — გოგორიშვილმა, ბრეგვაძემ, ბებუთოვმა, სულაქველიძემ, ანაშვილმა და მგალობლიშვილმა.

გოგორიშვილი არ უარყოფს თავის დანაშაულს. დანარჩენები, გარდა არტელ „სპარტაკის" წარმომადგენლების სულაქველიძისა და მგალობლიშვილისა, ასე თუ ისე აღიარებენ თავის მონაწილეობას.

სულაქველიძე და მგალობლიშვილი კატეგორიულად უარყოფენ თავის მონაწილეობას ამ საქმეში.

სულაქველიძე აცხადებს, რომ თევზის გარშემო მახინაციების ამბავი მან მხოლოდ დაკითხვის დროს გაიგო.

გოგორიშვილი აცხადებს, რომ მან სულაქველიძეს კიევიდან წამოსვლის დროს მოწმეების თანდასწრებით მისცა სამი ათასი მანეთის სავალუტო ჩეკები, რომლებიც შემდეგ გადახურდავებულ იქნა ფულზე.

სულაქველიძე, ტფილისში მყოფ მოწმეებზე მითითების შემდეგ, უკვე არ უარყოფს ფულის მიღების ფაქტს, აცხადებს, რომ ამ სამ ათას მანეთს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს თევზის გარშემო წარმოებულ მახინაციებთანო და იძლევა რაღაც აბნეულ ჩვენებას. ბოლოს, სულაქველიძე მიმართავს პელოვნურ პათოსს, ყვირის, რომ იგი ღარიბია, მას არაფერი არა აქვს, მაგრამ მას არ შესწევს მითვისების და სპეკულაციის უნარი, რომ მას ყველა იცნობს და სხვ.

— რატომ მიეცით თქვენ წინასწარი გამოძიების დროს ისეთივე ჩვენება, როგორიც გოგორიშვილმა მისცა? — ეკითხება ამხ. კატანიანი.

(წინასწარი გამოძიების დროს სულაქველიძემ აღიარა, რომ კომბინაციაში მონაწილეობისათვის მიიღო 5.000 მან.).

სულაქველიძე ამბობს, რომ თავისი ჩვენებით მას სურდა ხელი შეეწყო კვლევა-ძიებისათვის. რაში გამოიხატა თქვენი სურვილი ხელი შეგეწყოთ კვლევა-ძიებისათვის? — ეკითხება ამხ. კატანიანი. განა თქვენ არ ხედავთ, რომ დაპატიმრების შემდეგ მთელი თქვენი საქციელი ანტიპარტიული იყო?

სულაქველიძე ამას არ ეთანხმება.

— აბა რა გაქვთ თქვენ საერთო პარტიასთან? როგორ მოხვედით თქვენ პარტიაში? — აინტერესებს ამხ. კატანიანს.

სულაქველიძე მოუთხრობს სასამართლოს, რომ 1923 წელს საბჭოთა კავშირიდან გადასახლების შემდეგ იგი ბერლინში გაეცნო ემიგრანტ მენშევიკების საქმიანობას, რომლებსაც იგი მაშინ ეკუთვნოდა და დარწმუნდა, რომ ისინი თვითნებურად მოქმედებენ.

— თვითნებურად თუ კონტრრევოლუციურად? — ეკითხება ამხ. კატანიანი.

— ერთიც და მეორეც, — ამბობს სულაქველიძე.

— მაგრამ თქვენ რატომ შედით პარტიაში?

— როგორ თუ რატომ? საერთოდ რატომ შედიან პარტიაში? მე არ მესმის ეს კითხვა, — მიმართავს სულაქველიძე სასამართლოს.

— აბა რა მოეთხოვება ამ კაცს, თუ მას ეს არ ესმის, — აცხადებს ამხ. კატანიანი.

თევზის ოპერაციებში მგალობლიშვილის როლის გამორკვევის და მხარეების მიერ როგორც ბრალდებულთათვის, ისე მოწმეებისათვის დამატებითი შეკითხვების მიცემის შემდეგ, სასამართლო დამთავრებულად აცხადებს სასამართლოს კვლევა-ძიების მეორე ნაწილს.

სასამართლომ მოისმინა ექსპერტიზის დასკვნა იმის შესახებ, თუ ტფილისის საბჭოს რა თანხები ჰქონდა ხელში ბრეგვაძეს და გოგორიშვილს და რამდენი ირიცხება მათზე ამჟამად. 1933 წელს ბრეგვაძემ მიიღო 193 ათას მანეთზე მეტი, აქედან 12.000 მან. მან ნაღდ ფულად მიიღო, ამასთან ის თანხები, რომლებიც ბრეგვაძეზე ირიცხებოდა, თვიდან თვემდე იზრდებოდა და ეს თანხები განსაკუთრებით გაიზარდა წლის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის. 1 თებერვლისათვის მასზე ირიცხებოდა 33 ათასი მანეთი, 1 მაისისათვის 55 ათასი მანეთი, 1 ივლისისათვის — 136 ათასი მანეთი; სამი თვის განმავლობაში — აგვისტოდან ნოემბრამდე — მასზე ირიცხებოდა უცვლელად დაახლოებით 118 ათასი მანეთი; 1 დეკემბრისათვის — 65 ათასი მანეთი და 1934 წლის 1 იანვრისათვის — დაახლოებით 60.700 მანეთი. უკანასკნელი ციფრი წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც მას გაფლანგული აქვს ტფილისის საბჭოს ხაზით.

ასეთივე სურათი გვაქვს გოგორიშვილის მიმართაც, რომელზედაც ივლისსა და აგვისტოში ირიცხებოდა ორას-ორას ათას მანეთზე მეტი. გაფლანგული თანხის ოდენობა 37.125 მანეთს უდრის.

— რას მოწმობს ეს? — ეკითხება ექსპერტს სასამართლოს თავმჯდომარე.

— იმას, რომ ფულის გაცემა წარმოებდა ისე, რომ არ თხოულობდენ ანგარიშებს წინათ გაცემული თანხების დახარჯვის შესახებ.

— და რას იწვევდა ეს?

— გაფლანგვას და დიდ სამანევრო შესაძლებლობას ყოველგვარი სპეკულაციისათვის, — დაასკვნის ექსპერტი.

— მაშასადამე, — ამბობს ამხ. კატანიანი, — სხვა დაწესებულებათა სახსრების მიზიდვა ადიდებდა სპეკულატიური ოპერაციების მანევრირების და გაფართოების საშუალებას?

— უეჭველად, — უპასუხებს ექსპერტი. ექსპერტების ჩვენების შემდეგ უზენაეს სასამართლოს სხდომა შემდეგი დღისათვის გადაიდო.

რუსთაველის თეატრი სახელმწ. აკად. [illegible]

1 ნოემბერს	2 ნოემბერს	3 ნოემბერს
11 აბონ. 1 წარ.	12 აბონ 1 წარ.	13 აბონ. 1 წარ
ინტერვენცია	ინტერვენცია	in Tirannos

მეორე გადასახადი სავალდებულოა.
სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

დღეს	2 ნოემბერს	3 ნოემბერს
აბ. გარეშე	4 აბონ. 1 წარ.	8 აბონ. 1 წარ.
მზის დაბნელება საქართველოში	მზის დაბნელება საქართველოში	ნინოშვილის გურია

იმ აბონენტთ, რომელთაც არ ექნებათ გადახდილი მეორე გადასახადი 1-ლ წარმოდგენაზე დაშვებულნი არ იქნებიან
სალარო ღიაა 11—2 ს, 6—9 ს.
დასაწყისი 8 საათზე.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს	2 ნოემბერს	3 ნოემბერს
მე-8 აბონ. 2 წარ.	მე-9 აბონ. 2 წარ.	მე-10 აბონ. 2 წარ.
ევგენი ონეგინი	დაისი	ტრავიატა

ის აბონენტები, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი მე-4 საბონემენტო შესატანი. კარგავენ წარმოდგენაზე დასწრების უფლებას, ხოლო მათი ადგილები გაიყიდება.
დაიწყო მეხუთე, მორიგი შესატანის მიღება. ბილეთების გაყიდვა და ფულის მიღება წარმოებს ყოველდღე. დღისით 11-დან 2 საათამდე საღ. 6-დან 9 საათამდე.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ხრულ 8 საათზე.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპევტიულ სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელ. ლენინის ქუჩა № 49 ტელეფ. 3-19-00

მიღება ავადმყოფებისა დილის 9 საათიდან 2 საათამდე საღამოს 5 ს.—9 საათამდე, გარდა გამოსასვლელ დღეებისა. საღამოს საათებში იწარმოებს მუშაობა რენტგენის კაბინეტში.

მიღება და კონსულტაცია ავადმყოფებისა ყველა სპეციალისტების მიერ: შინაგანი, ნერვიული, ბავშთა, გინეკოლოგიური, კანის და ვენერიული, ყელის. ყურის, ცხვირის, ქირურგიული, პირისღრუს და კბილის სნეულებანი. მკურნალობა როგორც ამბულატორული. ისე კლინიკო-სტაციონალური.

კონსულტანტები: დოც. ი. კონიაშვილი, პროფ. ალადაშვილი, პროფ მიქელაძე, პროფ. ღამბარაშვილი, პროფ. მუხაძე, ექ. პონდოევი, ექ. ტყემალაძე, ექ. მიქელაძე, დოც. ჯავახიშვილი.

ყველა სახის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა: სითბო-სინათლის ელექტრო-თერაპიული კაბინეტები, ტალახით და წყლით მკურნალობა, ნახშირ-მჟავა აბაზანები, ინჰალიაცია, მასაჟი, მექანოთერაპია, რენტგენო დიაგნოსტიური და რენტგენო თერაპიული კაბინეტები, კლინიკო ლაბორატორიული და ბიო-ქიმიური გამოკვლევანი, ელექტრო კარდიოგრაფი, მიიღებიან აგრეთვე ფასიანი ავადმყოფები 10—1 ნ. 506

საქ რესპ საალრიცხო კომბინატის მე-2 ფილიალი
განაგრძობს მსმენელების მიღებას მოანგარიშეობის და საბუხჰალტერო კურსებზე.
კურსები სამეურნეო ანგარიშზე.
პირობების გაგება საღ. 6½ საათიდან 9 საათამდე, ველაბარი, ვარდის მოედანი № 7 (88 სკოლის შენობა).
710 **კომბინატის დირექცია.**

გამოვიდა და იყიდება



ოქტომბერი 6-30. 8, 9-30, 11.	ამერიკული ხმოვანი ფილმი „მარვინ ბლეიკის გამცემლობა"
დამკვრელი საზამ. 6-30, 8, 9-30, 11. [illegible]	ახალი კომედია-სატირა „ნახვამდის" დადგმა რეჟისორ—გ. მაკაროვის.
დამკვრელი ხაზაფხ 7, 9, 11.	
ჯემბი (საზაფხ.) 6-30, 8, 9-30, 11.	მხატვრ. ფილმი „უკანასკნელი ატრაქციონი"
ითერი საზაფხ 7-45, 9-15, 10-45	„ვერცხლის შარფი" მე-3-მე სერიის
„ზდ"-ის სახელ 8 9-30, 11	„ვერცხლის შარფი" მე-2-რე სერია
რ. ლიუქსემბურგის სახელობის 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვ. ფილმი „სამი სიმღერა ლენინზე"
„კომინტერნი" საზაფ. (დიდუბე) 8-15 10.	„დიკშიკრიქის ჩანთა"

დამკვრელსა და ლიუქსემბ. დღის სეანსები ბავშვებისათვის, დასაწყისი 12, 1-30.

სამკერვალო საფაბრიკო-საქარხნო სკოლა
აცხადებს მოწაფეთა მიღებას

სწავლების ვადა 1 წლიანია ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის კადრებს მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან: ბინით (ნაწილობრივ ვადები) სასწავლო ნივთებით, ხელფასით (29 მანეთიდან 50 მანეთამდე), მიმაგრებულნი მუშათა დახურულ განმანაწილებელზე და ყველა უფლებებით გათანასწორებულნი მუშებთან.
მიიღება მუშა-ახალგაზრდობა არა ნაკლები 16 წლისა.
საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა: სოც. მდგომარეობის, განათლების, ხმის უფლების და წლოვანების.
განცხადებების მიღება იწარმოებს 25 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე. მეცადინეობა დაიწყება 15 ნოემბერს.
დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება სკოლის კანცელარიაში 11-დან 2 საათამდე. კალინინის ქ. № 60.
ნ56 დირექცია

ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6½—8½ საათ. მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის საავადმყ. პირდაპირ

ექიმი მერიშვილი
ვენერიული სახარდე სისქესო სიფილისი და კანისა. დილ. 9—12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი პლეხანოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ევროპა" ყ. ფ („ბოეს") გადასწვრივ.

ექიმი ს. ვ. მესხელიშვილი
მიიღებს თვალის სნეულებით დაავადებულებს 2—4 ს.
ყორღანოვის ქ. № 6.
144

ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს **მათემატიკასა** და **რუსულში** ვასწავლი **უცოდინარეებს არითმეტიკას და ბუხჰალტერიას მოანგარიშის** თანამდებობისათვის
პლეხანოვის. ქუჩა 25 (შესავალი ჩერნიშევი ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 7—8 ს. 5705 5-1

ჯალაღანიძე რომან ანდრიას-ძე
ა. წ. 15 აგვისტოდან აღარ მსახურობს **ლიმონმანდარინის კულტურების რესტის საწარმოებში.**
მის სახელზე გაცემული ყველა დოკუმენტი ჩაითვალოს გაუქმებულად.
ნ67 **ლიმმანტრესტი.**

ტფილისში განათლების სახ. ომისარიატის ნებართვით ა/წ 1 ნოემბრიდან იხ ნება უმაღლეს სასწავლებლებში
საკონკურსო გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსები.
კურსებზე განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე საღამოს 7 ს.—9 საათამდე მე-44 სკოლის კანცელარიაში პლეხანოვის № 170.
699 2-2 დირექცია.

განსახკომის ნებართვით ვამზადებთ მოწაფეებს
10 და 7 კლ. მოწმობისათვის.
ვასწავლით ბუხჰალტერიას და ფინგამოანგარიშებას მოანგარიშის და მოლარის თანამდებობისათვის.
კარგარეთელის ქუჩა № 3ა (კინო „ოქტომბრის" მახლობლად 7-9 და 4-6 ს.
08 4—4

განსახკომის სისტემაში შემავალ ყველა სკოლის დირექტორს
სახელგამის პერიოდსექტორი გაცნობებთ, რომ საბავშო-საყმაწვილო ჟურნალებზე ხელის მოწერის ვადა გაგრძელებულია ა/წ. 15 ნოემბრამდე, რისთვისაც გთხოვთ განაგრძოთ მუშაობა ხაჩვენებ ვადამდე.
ნ. 508 სახელგამის პერიოდსექტორი.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამოკვლევო ჰიდრო-ენერგეტიული ინსტიტუტი („ზაქნიგეი")

რომელიც თანახმად „გლავენერგოს" დადგენილებისა, აერთიანებს ყველა სამეცნიერო-საგამოკვლევო სამუშაოებს: ჰიდროტექნიკის, ჰიდრომშენებლობის, ენერგეტიკის და ელექტროტექნიკის დარგებში, შედგა 1935 წლისათვის მუშაობის გეგმის შეთანხმებას.
ინსტიტუტი ღებულობს გამოკვლევებს, ექსპერტიზას და კონსულტაციებს შემდეგ საკითხებზე:
ჰიდროტექნიკის და ჰიდრავლიკა-ენერგეტიკის სექტორებში:
ნიადაგზედა წყლების ჰიდრავლიკა.
ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რაციონალიზაცია.
ჰიდროსადგურების და ცალკე ნაგებობათა კომპლექსური გამოკვლევანი ადგილებზე.
ჰიდროსადგურების კვანძებისა და ცალკე ნაგებობათა მოდელების ლაბორატორიული გამოკვლევა.
სადგურების ექსპლოატაციის საკითხების დამუშავება (ბრძოლა ყინულებთან, ნალექების და ჰიდრავლიური რეჟიმი).
ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობის საკითხის დამუშავება.
ამიერ-კავკასიის მდინარეთა ენერგეტიული გამოყენების ცალკე საკითხების დამუშავება.
ამიერ-კავკასიის ჰიდროსადგურების კადასტრი.
ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდები მიღების დროს.
ელექტროტექნიკურ სექტორში:
ენერგეტიკის და ელექტროტექნიკის ცალკე პრობლემათა დამუშავება.
ტექნიკო - ეკონომიური ანალიზი.
ცალკე მოვლენათა გამოკვლევა და შესწავლა ელექტროსადგურებზე, სისტემებში და მომხმარებლებში.
მსხვილ მომხმარებელთა ენერგეტიულ მეურნეობის ფართო და ყოველმხრივი გამოკვლევა.
ელექტრო-დანადგართა მიღება და გამოცდა.
ცალკე საკითხების დამუშავებით დაინტერესებულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შეუძლიათ შემოიტანონ განცხადებები, მოცემულობის ხასიათის დაწვრილებით გადმოცემით, ინსტიტუტის სავეგმო განყოფილებაში, მისამართით: ქ. ტფილისი, ლენინგრადის ქუჩა № 3.
„ზაქნიგეი"-ს დირექტორი ინჟინერი
პ. ფ. ბერძენიშვილი
ნ. 509

ლენ-რაიგან. განყოფ. აცხადებს, რომ განსახკომის ნებართვით იხსნება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა **მოსამზადებელი კურსები**
მსმენელებს მიეცემათ შეღავათები. განცხადების მიღება საღ. 6-ს. კალინინის ქუჩა № 51 რკ გზ. მე 5 სკოლა 7 4

ვერა გეგეჭკორი ულრმეს მადლობას უცხადებს ამხანაგებს, მეგობართ და ნაცნობებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს **ლიონია გეგეჭკორის** დაკრძალვაში ა.-წ. 18 ოქტომბერს

მშობლები: დავითი და ქეთევანი, ძმა ოთარი და ბებიები: ანა და ლიზა იუწყებიან პატარა **თენგიზ** (ნოდიკო) **მაისურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან 4 ს. შრომის ქ. № 23 5722

მეუღლე ლუბა, დედა ევდოკია, შვილები: ნათელა და გაიოზი იუწყებიან **შალვა ივლიანეს-ძე მგალობლიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 3 ნოემბერს. გამოსვენება სამრეცხაოს შეს. № 6, ოთხ საათზე 5718

ტფილსოფმრეწვის თანამშრომლები: გრამატიკოპულო, ხაბურზანია, ფავლენიშვილი, სიხარულიძე, ჯაბუა, თოფურიძე, ჯაველიძე, ფარჯანაძე, გრიქუროვი, ჩაჩხიანი, თოდრაძე, ხაინდრავა, ქსელის თანამშრომლები იუწყებიან კოწია გორგოძის მეუღლის ძმის **მირონ გურულის** უდროოდ გარდაცვალებას 5721

დედა ევდოკია, ძმა ვალოდია, დები: აგრაფინა, ლუდმილა, თამარი, რძალი პაშა და ძმისშვილი იუზა მგალობლიშვილები იუწყებიან **შალვა ივლიანეს-ძე მგალობლიშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ნოემბერს. გამოსვენება სამრეცხაოს შესახვევი № 6-დან, 4 საათზე 5718

ოლიმპიადა და გრიგოლ შელია შვილებით: თამარ, ქეთევან, ნინო და არჩილი იუწყებიან **ლიუცია კონსტანტინეს-ასულ შენგელაიას** უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 2 ნოემბერს 5 ს. ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან.

შვილები, სიძეები და რძლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს საყვარელი დედის **თეკლე სულაქველიძის** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. პირველი ნიკოლაძის ჩიხი № 6. დაკრძალვა 2 ნოემბერს 4 ნახ. საათზე ვერის სასაფლაოზე.

ფუფუ და კოწია სულაქველიძეები იუწყებიან დედის **თეკლე სულაქველიძის** გარდაცვალებას.

დედა ნატაშა, დიდედა ნინო, დები: თინა, ელენა, დეიდა ელისაბედ ჰანტურია, ბიძაშვილი ფენია ოჯახით იუწყებიან **ლიუცა შენგელაიას** გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოში, დაკრძალვა 2 ოქტომბერს 5 ს. ვერის სასაფლაოზე.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04. გამომცემლობის — 3-51-81. ხელთნაწერ-ებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 9329